ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი **2013 წლის 18 მარტი**

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს 21 წევრი: 1. გაგნიძე ინეზა 2. თოდუა ნუგზარი 3. თუთბერიძე ბეჟანი 4. კვერენჩხილაძე გიორგი 5. ბენდელიანი ბექა 6. პაპაშვილი თამარი 7. გალდავა გიორგი 8. მარგველიშვილი ვლადიმერი 9. თურქიაშვილი შორენა 10. მაცაბერიძე მალხაზი 11. შამილიშვილი მანანა 12. წერეთელი მარი 13. ჩოხელი ლევანი 14. ბარამიძე ცირა 15. ბახტაძე მიხეილი 16. ბრაჭული ირაკლი 17. ლიჩელი ვახტანგი 18. ლორია კახაბერი 19. პაიჭაძე თამარი 20. ახლოური ბექა 21. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. კვიტაშვილი ალექსანდრე (რექტორი) 2. გაფრინდაშვილი ნანი 3. დავითაშვილი ზურაბი 4. გერსამია მარიამი 5. ნადარაია ელიზბარი 6. სურგულაძე ნუგზარი 7. გველესიანი რევაზი 8. მარშავა ქეთევანი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის ანგარიშის მოსმენა.
2. ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონების იჯარით გაცემა.
3. „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 თებერვლის №12/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 თებერვლის დადგენიელება №36/2013–ის დამტკიცება.
4. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 მარტის დადგენილება №40/2013–ის დამტკიცება.
5. ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 11 მარტის დადგენილება №43/2013–ის დამტკიცება.
6. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 თებერვლის დადგენილება №33/2013–ის დამტკიცება.

7. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 მარტის დადგენილება №49/2013–ის დამტკიცება.

8. ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცება.

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ბატონმა დავით ჩომახიძემ მიმოიხილა უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული საქმიანობა და დასძინა, რომ წინა წლებისაგან განსხვავებით, წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციაც. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განმარტებით, წარმოდგენილ დოკუმენტში სისტემატიზებულადაა წარმოდგენილი ადმინისტრაციის მიერ გაწეული საქმიანობა და მისი გაცნობით მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: გიორგი კვერენჩხილაძემ, ცირა ბარამიძემ და ვახტანგ ლიჩელმა.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა დადებითად შეაფასეს 2012 წელს ადმინისტრაციის მიერ გაწეული საქმიანობა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად და შეფასდეს დადებითად. (დანართი 3)

2. თსუ–ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო უნივერსიტეტის ქონების იჯარით გაცემის საკითხი და აღნიშნა, რომ საუბარია უნივერსიტეტის პირველ, მეორე და მეათე კორპუსების ტერიტორიაზე არსებულ ფართზე, რომელთაგან პირველზე დაგეგმილია Wi-Fi access point მოწყობილობების, მეორეზე – საბანკო მომსახურების ცენტრის, ხოლო მესამეზე – წიგნების მაღაზიის განთავსება. სტუდენტებს საშუალება ექნებათ ისარგებლონ უფასო ინტერნეტით, ასევე, სხვადასხვა საბანკო მომსახურებით. წიგნების მაღაზიაში წიგნებთან ერთად გაიყიდება საკანცელარიო ნივთები და სხვადასხვა პროდუქცია, მათ შორის, უნივერსიტეტის ატრიბუტიკა.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა გიორგი კვერენხილაძემ, რომელმაც მოიწონა პირველი და მეორე კორპუსების ტერიტორიაზე Wi-Fi access point მოწყობილობების განთავსების იდეა და იმედი გამოთქვა, რომ ინტერნეტი საკმარისი სიჩქარის იქნება, რათა სტუდენტებმა რეალურად შეძლონ მისით სარგებლობა.

2.1. საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა Wi-Fi access point მოწყობილობების განთავსების მიზნით შემდეგი ქონების იჯარით გაცემაზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის შემოსასვლელის მარჯვენა სექტორში შენობის წინა ფასადის მარჯვენა სეგმენტის სამ მეტრ სიმაღლეზე 1 $მ^2$ ფართი, მარცხენა სექტორში შენობის წინა ფასადის კედლიდან მოშორებით (სკვერში) 1 $მ^2$ ფართი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N3, უნივერსიტეტის მე-2 სასწავლო კორპუსის შენობის ფასადზე 1 $მ^2$ ფართი.

2.2. საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა საბანკო მომსახურების ცენტრის განთავსების მიზნით შემდეგი ქონების იჯარით გაცემაზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N3, უნივერსიტეტის მე-2 სასწავლო კორპუსის პირველი სართულის ფოიეში მდებარე 3 $მ^2$ ფართი და უნივერსიტეტის ქუჩა N2, უნივერსიტეტის მე-10 სასწავლო კორპუსის პირველი სართულის ფოიეში მდებარე 3 $მ^2$ ფართი.

2.3 საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა წიგნების მაღაზიის განთავსების მიზნით შემდეგი ქონების იჯარით გაცემაზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 63,5 $მ^2$ ფართი და უნივერსიტეტის ქუჩა N2, უნივერსიტეტის მე-10 სასწავლო კორპუსის შენობის პირველ სართულზე მდებარე 12,60 $მ^2$ ფართი.

3. თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 თებერვლის №12/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 თებერვლის დადგენიელება №36/2013. დადგენილებით ბიბლიოთეკის სტატუსი აღარ ექნება ევროპული კვლევების ინსტიტუტის ბიბლიოთეკას, რომლის წიგნადი ფონდის მოცულობა საკმარისი არაა ამ სტატუსისათვის. უკვე მიღწეულია შეთანხმება ინსიტუტუტის ადმინისტრაციასთან ამ ცვლილებებზე. მომავალში, თუ ინსტიტუტში წიგნთა რაოდენობა გაიზრდება, შეიძლება ფიქრი მისთვის საბიბლიოთეკო ერთეული სტატუსის მინიჭებაზე.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 თებერვლის №12/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 თებერვლის დადგენილება №36/2013 (დანართი 4)

4. თსუ–ს ევროპული კვლევების ინსტიტუტის აღმასრულებელმა მდივანმა, ქალბატონმა ნინო ფარსადანიშვილმა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 მარტის დადგენილება №40/2013. ნინო ფარსადანიშვილმა აღნიშნა, რომ ტემპუსის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ინსტიტუტში მიგრაციის კომპეტენციის ცეტრის შექმნა, რომელიც განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნეირო პროექტებს მიგრაციის კვლევის მიმართულებით.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: ქალბატონმა ინეზა გაგნიძემ და ბატონმა გიორგი გალდავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. დამტკიცდეს ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 მარტის დადგენილება №40/2013 (დანართი 5) 2. დადგენილების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 28 დეკემბრის 41–ე ოქმით დამტკიცებული თსუ–ს ევროპული კვლევების ინსტიტუტის მოქმედი დებულება.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ინეზა გაგნიძემ წარმოადგინა ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 11 მარტის დადგენილება №43/2013 და აღნიშნა, რომ დებულება გამართულია და ვიზირებულია იურიდიული დეპარტამენტის მიერ. პროექტი უკვე მიიღო აკადემიურმა საბჭომ დადგენილების სახით და საჭიროებს წარმომადგენლობითი საბჭოს მხრიდან დამტკიცებას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. დამტკიცდეს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 11 მარტის დადგენილება №43/2013 (დანართი 6) 2. დადგენილების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 30 მაისის 36–ე ოქმით დამტკიცებული თსუ–ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოქმედი დებულება.

6. თსუ–ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმოადგინა ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 თებერვლის დადგენილება №33/2013 და აღნიშნა, რომ ტურიზმის სკოლის ნაცვლად იქმნება ტურიზმის განვითარების ინსტიტუტი. ინსტიტუტს გაცილებით ფართო

კომპეტენცია ექნება და იგი საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, ტურიზმის სფეროს სამეცნიერო ანალიზსა და კვლევას განახორციელებს.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ნუგზარ თოდუამ განაცხადა, რომ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება შესაძლებელია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზეც, სადაც ტურიზმის კათედრა წლებია, რაც არსებობს. მით უმეტეს, რომ საქართველოში ტურიზმი უკვე აღარაა სახელმწიფო პრიორიტეტი, არ არსებობს ამ ინსტიტუტის შექმნის საჭიროება.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ აღნიშნა, რომ ტურიზმის საერთაშორისო სკოლა ერთ–ერთი ყველაზე წარმატებული მიმართულებაა უნივერსიტეტში. არსებობის მანძილზე ამ სკოლამ მოახერხა საკუთარი ავტორიტეტის მოპოვება საგანმანათლებლო ბაზარზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი ბატონი გიორგი კვერენჩხილაძე დაეთანხმა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და განაცხადა, რომ აკადემიური მობილობისას ტურიზმის მიმართულება იურიდიულთან ერთად ყველაზე მოთხოვნადია.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 20

წინააღმდეგი: 1

მიღებული გადაწყვეტილება: 1. დამტკიცდეს ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 თებერვლის დადგენილება №33/2013 (დანართი 7) 2. გაუქმდეს წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 1 მაისის მე–19 ოქმით დამტკიცებული ტურიზმის საერთაშორისო სკოლის მოქმედი დებულება.

7. თსუ–ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსმა, ქალბატონმა თეა გერგედავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 მარტის დადგენილება №49/2013. ქალბატონმა თეა გერგედავამ განაცხადა, რომ უნივერსიტეტში იგეგმება პორტუგალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ–ერთმა სტრუქტურული ერთეულის, კამუშის ინსტიტუტის წარმომადგენლობის გახსნა, რომელიც დაინტერესებულ პირებს შეასწავლის პორტუგალიურ ენასა და კულტურას. ცენტრი უფლებამოსილი იქნება, გასცეს პორტუგალიური ენის ცოდნის დამდასტურებელი სერთიფიკატი. ცენტრის შექმნასთან

დაკავშირებით პრინციპული შეთანხმება უკვე მიღწეულია პორტუგალიურ მხარესთან, მოლაპარაკებებში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: ცირა ბარამიძემ, ბეჟან თუთბერიძემ და გიორგი გალდავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 მარტის დადგენილება №49/2013 (დანართი 8)

8. თსუ–ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულება და აღნიშნა, რომ დებულება გამართულია, იგი ვიზირებულია იურიდიული დეპარტამენტის მიერ და შეესაბამება უნივერსიტეტის წესდებას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 21

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. დამტკიცდეს ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულება (დანართი 9) 2. ახალდამტკიცებული დებულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის მე–20 ოქმით დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მოქმედი დებულება.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: კ. ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს
აპარატის უფროსი: დ. გეგენავა

დანართი 1

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2013 წლის 18 მარტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- კარტოზია გიორგი
- მესხორაძე გიორგი
- ჩაბაკაური გიორგი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- ხაჩიძე მანანა

- კერესელიძე დავითი

სტუდენტები:

- გუბაძე ვასილი
- ჭლიკაძე გივი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გალდავა გიორგი
- მარგველიშვილი ვლადიმერი
- ფაღავა ზურაბი

სტუდენტები:

- ცინცაძე ნინო

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები

- ბარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- ზივზივაძე ვახტანგი

- ჯღამაძე უჩა

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2013 წლის 18 მარტი

- კვიტაშვილი ალექსანდრე (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- დავითაშვილი ზურაბი
- გერსამია მარიამი
- შენგელაია ალექსანდრე
- ნადარაია ელიზბარი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- გველესიანი რევაზი
- მარშავა ქეთევანი
- თოდუა ფრიდონი
- მანაგაძე ლავრენტი

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიში

2012 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა ---------- 3 გვ.

რესურსების მართვა ---------- 15 გვ.

საუნივერსიტეტო, საგარეო ურთიერთობები
და ურთიერთობა საზოგადოებასთან ---------- 22 გვ.

საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, საჯაროობა,
კანონიერების უზრუნველყოფა და კონტროლი,
უსაფრთხოების დაცვა ---------- 28 გვ.

საქმიანობა კულტურისა და სპორტის სფეროში, სხვა
აქტუალური საქმიანობა ---------- 33 გვ.

სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

- სამეცნიერო საქმიანობის (კვლევების) ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით უნივერსიტეტის, კერძოდ კი მისი სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ინიციატივით, თანამშრომლობითა და ხელშეწყობით 2012 წლის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების 8 კონფერენცია, უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო 2012 წლის 21-26 სექტემბერს ბათუმში დაგეგმილ ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გახსნის ცერემონიალში. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მოეწყო საქართველოს უნივერსიტეტების სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევებისა და პროექტების გამოფენა, რომელშიც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილმა ექსპონატებმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ღონისძიების ფარგლებში ორგანიზებულ იქნა საზღვარგარეთ წამყვანი უნივერსიტეტებიდან პროფესორ-მასწავლებელთა მოწვევა და ქართველ კოლეგებთან ერთად სტუდენტებისთვის ლექციების ჩატარება. უნივერსიტეტი მონაწილეობდა მეცნიერების ხელშწყობის ფორმატისა და თემატიკის სხვადასხვა სახისა და დატვირთვის ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრები, მათ შორის უცხოეთში გამართულ (დიდ ბრიტანეთი - ოქსფორდი, სოლსბერი, საუთჰემპტონი, ლონდონი, გერმანიის საერთაშორისო ურთიერთანამშრომლობის პროექტის /„კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“/ ეგიდით - ბელორუსია, ლიტვა) სამუშაო შეხვედრებში. 2012 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა სამეცნიერო ტექნოლოგიური პარკების სპეციფიკის, მეცნიერების ადმინისტრირებისა და შეფასების მეთოდების გაცნობა. დაისახა შესაძლო თანამშრომლობის პერსპექტივები. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ, 2012 წლის განმავლობაში სამეცნიერო საქმიანობის (კვლევების) ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით განხორციელებულია ათეულობით აქტივობა.

2012 წელს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში - პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის სულ დარეგისტრირდა 107 საპროექტო განაცხადი. დაფინანსებული 77 პროექტიდან, თსუ-ს ეკუთვნის 30 პროექტი.

აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF-Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) 2012 წლის ერთობლივი კონკურსი „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეწარმეო პროგრამის (STEP) - იდეიდან ბაზრისკენ“

ფარგლებში წარმოდგენილი იქნა 35 საპროექტო წინადადება, ერთობლივი დაფინანსებისთვის შეირჩა 4 პროექტი, მათ შორის თსუ-დან - 1 პროექტი.

უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსში დარეგისტრირდა 35 საპროექტო განაცხადი. საგრანტო დაფინანსება მიიღო 23 პროექტმა, მათ შორისაა თსუ-ს 11 პროექტი.

უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრისა და სსიპ – საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული ერთობლივ კონკურსში სულ წარდგენილი იყო 25 განაცხადი, გაიმარჯვა 11-მა პროექტმა. თსუ-დან წარდგენილი იყო 9 პროექტი, გაიმარჯვა - 5-მა პროექტმა.

„ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო გრანტების" კონკურსში დარეგისტრირდა 37 საპროექტო განაცხადი, საგრანტო დაფინანსება მიიღო 33-მა პროექტმა, თსუ-დან გამარჯვებული გახლავთ 17 პროექტი (გამარჯვებულებს შორის არის თსუ-ს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის 2 თანამშრომელი დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - თეა წითლანაძე და მთ. სპეციალისტი -ლელა კვინიკაძე).

IREX (საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭო) - საქართველოდან წარდგენილი განაცხადებიდან გამარჯვებულია 2 პროექტი, ორივე თსუ-დან; აქედან ერთ-ერთი არის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მთ. სპეციალისტის, თამარ გოგუას პროექტი.

TEMPUS IV 5-th call-ში საქართველოდან წარდგენილი იყო 70 პროექტი, თსუ-დან - 30 პროექტი; შედეგების მიხედვით საქართველოს უნივერსიტეტები 12 ახალ პროექტში მიიღებენ მონაწილეობას, აქედან თსუ 4 პროექტშია გამარჯვებული (1 პროექტში როგორც აპლიკანტი).

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების საგრანტო კონკურსებში თსუ-დან წარდგენილი/გამარჯვებული პროექტების შესახებ ინფორმაცია ცნობილი გახდება ფონდის მიერ შედეგების გამოცხადებისთანავე. (**შენიშვნა:** ანგარიშს თან ახლავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ 2012 წელს განხორციელებული საქმიანობის დეტალური აღწერა).

სასწავლო პროცესის წარმართვა უნივერსიტეტში ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ, რომელიც 2012 წლის განმავლობაში თავის საქმიანობაში

ხელმძღვანელობდა საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით და დეპარტამენტის დებულებით. სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის სამივე განყოფილებამ წლის დასაწყისში განსაზღვრა თავისი საქმიანობის პრიორიტეტები და შესაბამისად მოახდინა მათი განხორციელება.

დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სტრუქტურებთან, აგრეთვე სხვადასხვა სამინისტროებთან.

სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელ - ENIC/NARIC-თან, ნიუ იორკის სტრატეგიული საინფორმაციო რესურსების ორგანიზაციასთან - Strategic Information Resource Inc, გერმანიის უცხოეთის საგანმანათლებლო დოკუმენტების გადამოწმების სახელმწიფო სააგენტოსთან (The Central Office For evaluation of Foreign Educational credentials -Sekretariat der ständigen Konferenz der Kulturminister der Länder in der Bundesrepublik Deutschland), აშშ-ს განათლების დოკუმენტების დამოწმების საერთაშორისო სერვისთან (Hireright), ბულგარეთის საგანმანათლებლო ორგანიზაციასთან "I COVER", მალტის ფინანსური მომსახურების დეპარტამენტთან (MFSA – MALTA FINANCIAL SERVICES AUTHORITY), ევროპა, სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის ასოციაციასთან - E&E Associates s.r.l. და სხვ. მომზადდა 100-მდე კორესპონდენცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელის ორგანიზაციებიდან გამოგზავნილ წერილებზე, რომლებიც ეხებოდა უნივერსიტეტის მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობას.

დეპარტამენტის თანამშრომლებმა გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით მონაწილეობა მიიღეს 2012 წლის 27 აპრილს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებთან და ENIC/NARIC-ის ესტონელ, ფინელ და ლატვიელ წარმომადგენლებთან მოწყობილ შეხვედრაში. დეპარტამენტის თანამშრომლებმა დაწვრილებითი ინფორმაცია მისცეს დელეგაციას თსუ-ში გატარებული რეფორმებისა და სასწავლო პროცესის მართვის შესახებ.

დეპარტამენტი კოორდინირებულად მუშაობდა თსუ საგანმანათლებლო ერთეულების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებთან. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით არსებულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით 2012 წლის განმავლობაში არაერთი სამუშაო შეხვედრა მოეწყო ფაკულტეტების დეკანებთან. მიღებულ

იქნა მთელი რიგი გადაწყვეტილებები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა ნორმატიული დოკუმენტები და სამართლებრივი აქტები.

2012 წლის განმავლობაში დეპარტამენტმა განიხილა **7 972 კორესპოდენცია.**

სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობდა სხვადასხვა სტრუქტურებთან:

- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან - დასკვნისათვის ეგზავნებოდათ მობილობის წესით სტუდენთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანებების პროექტები; დასკვნები პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თსუ-ს პროგრამასთან შესაბამისობისა და აღიარებული კრედიტების რაოდენობის თაობაზე;
- „რესპუბლიკა“, „ლიბერთი“ და „თიბისი“ ბანკებს - პერიოდულად მიეწოდებოდათ ინფორმაცია თსუ-ში ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების შესახებ.

სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება ახორციელებდა სასწავლო პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას. განყოფილების მიერ მომზადდა საუნივერსიტეტო მნიშვნელობის ბრძანებები:

- 2012–2013 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ;
- 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხული სემესტრსა და 2012–2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობისა და შიდა მობილობის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ;
- 2012–2013 სასწავლო წელს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულ სტუდენტთა პირადი საქმის გახსნის შესახებ;
- 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხული სემესტრსა და 2012–2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შესახებ;
- 2012–2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრატურაში მიღების გამოცხადების შესახებ;
- 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხული სემესტრსა და 2012–2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ.

სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებამ მოახდინა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და დამუშავება:

- შიდა და გარე მობილობაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთათვის;
- პირველსემესტრელ ბაკალავრებისათვის;
- მაგისტრანტობისა და დოქტორანტობის კანდიდატებისათვის.

უზრუნველყო 2012-2013 სასწავლო წლისათვის „სტუდენტების გზამკვლევის“ (საინფორმაციო ბროშურა) და სხვა საცნობარო მასალის შემუშავება.

დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში განყოფილება მონაწილეობდა თსუ-ს შესამუშავებელი ნორმატიული დოკუმენტების შედგენასა და ექსპერტიზაში:

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის №77 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (აკად. საბჭოს დადგენილება №2/2012, 16.01.12, №13/2012, 22.02.12, №46/2012, 11.06.12);
- ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012–2013 სასწავლო წლის სამაგისტრო გამოცდებისათვის სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტებისა და მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ (აკად. საბჭოს დადგენილება №72/2012, 10.08.12);
- ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსულ და აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ (აკად. საბჭოს დადგენილება №74/2012, 10.08. 2012);
- ,,დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 16 მარტის №25/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (აკად. საბჭოს დადგენილება №77/2012, 10.08. 2012);
- ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი სამაგისტრო პროგრამის ამოქმედების შესახებ (აკად. საბჭოს დადგენილება №91/2012, 24.09. 2012);
- უცხოეთში სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ (აკად. საბჭოს დადგენილება №105/2012, 05.12. 2012);
- ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013–2014 სასწავლო წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების კოეფიციენტებისა და

მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ (აკად. საბჭოს დადგენილება №116/2012, 10.12. 2012).

თსუ-ს პერსონალის მართვის დეპარტამენტიდან და ფაკულტეტების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის - აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო დატვირთვები (ფორმა №5) და სასწავლო-სამუშაო გეგმები (ფორმა №2) - საფუძველზე განახორციელა აკადემიური პერსონალის სასწავლო საქმიანობის შეფასება. განახორციელა ტუტორების საქმიანობის მონიტორინგი.

განყოფილება მონაწილეობდა უცხოელი სტუდენტებისა და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებში.

სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებამ მოამზადა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან, ბაკალავრებთან, მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებები.

საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად მომზადდა უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტები:

- ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე აკადემიურ უმაღლეს/პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების, მაგისტრანტობისა და დოქტორანტობის კანდიდატთა, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების ჩარიცხვის თაობაზე;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების ფაკულტეტებზე ჩარიცხვის თაობაზე;
- მობილობისა და შიდა მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის თაობაზე;
- განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების საფუძველზე ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების უნივერსიტეტში ჩარიცხვის თაობაზე - 180 პროექტი;
- სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი (შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, დამატებითი სემესტრი) - 1058 პროექტი;

- რექტორის მიერ გამოცემულ ყველა ოფიციალურ დოკუმენტში ცვლილებების თაობაზე - 507 პროექტი;
- სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო თემის დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მიღწეული აღიარებული კრედიტების საფუძველზე სემესტრის განსაზღვრის თაობაზე - 46 პროექტი;
- გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნის შესახებ;
- საგამოცდო კომისის შექმნის შესახებ;
- სამართლებრივი აქტების ბათილად და არარად ცნობა;

2012 წლის განმავლობაში სტუდენტთა მომსახურების განყოფილებამ:

- ორგანიზება გაუკეთა სტუდენტთა კონტიგენტის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, მათ შორის პირველკურსელთა) სემესტრულ რეგისტრაციას;
- მოამზადა სატენდერო წინადადებები დიპლომებისა და დიპლომების ყდების დამზადებასთან დაკავშირებით;
- დააარქივა და არქივს გადასცა თსუ 2007 წლის კურსდამთავრებულთა დიპლომები თანდართული დანართებით და დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალები;
- განახორციელა უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის დანართების ასლების დამოწმება და გაცემა - 720 ცალი;
- უზრუნველყო 2012–2013 სასწავლო წელს ჩარიცხულ პროფესიულ, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების ხელშკრულებების რექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით;
- განახორციელა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტანა, განახლება. აღნიშნული ინფორმაციის შეტანა მოხდა თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში. ასევე განახორციელა მონიტორინგი სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ელექტრონულ აღრიცხვაზე;
- უზრუნველყო წვევამდელთა აღრიცხვა და 2500 ფორმა №26-ის (სტუდენტ ვაჟებისათვის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამწვევაზე უფლებამოსილ ორგანოში წარსადგენი ცნობა) მომზადება და გაცემა; 1800 პირველკურსელის ცნობა

გადაეგზავნა შესაბამისი რაიონების ადგილობრივი თვითმმართველოების ორგანოებს;

- უზრუნველყო თსუ კავკასიის ბიზნესის სკოლის კურსდამთავრებულების პირადი საქმეების მოწესრიგება, მასალების დაარქივება და გადაცემა თსუ-ს არქივში.

სტუდენტთა მომსახურების განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობდა სხვადასხვა სტრუქტურებთან:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს გაეგზავნა კურსდამთავრებულთა დიპლომის ნამდვილობის შესახებ და სტუდენტების სწავლის ფაქტის დადასტურების შესახებ 300 ცნობა;
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის, უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის დანართებისა და ცნობების ნამდვილობის დადასტურების მიზნით გაიგზავნა 335 წერილი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროში - სტუდენტების სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის თაობაზე;
- სხვადასხვა ქვეყნების საელჩოებში გაიგზავნა 12 წერილი.

სტუდენტთა მომსახურების განყოფილებამ დაამზადა და გასცა:

- დიპლომი – 3500 ცალი;
- დიპლომის დუბლიკატი – 126 ცალი;
- აკადემიური ცნობა – 6 ცალი;
- დიპლომის დანართის დუბლიკატი – 125 ცალი;
- მეორადი სწავლების სერტიფიკატი – 6 ცალი;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა სერტიფიკატი – 237 ცალი;
- სხვადასხვა სახის ცნობები – 250 ცალი;
- დამზადდა და არქივს გადაეცა შეცვლილი დიპლომებისა და დიპლომის დუბლიკატის ასლები თანდართული დოკუმენტებით - 320 ცალი;
- ცნობები თსუ–ში სწავლის შესახებ სემესტრების, შეფასებებისა და საკონტაქტო საათების მიხედვით – 135 ცალი;

- დიპლომის დანართი ცნობის სახით – 250 ცალი;
- სტუდბილეთი დოქტორანტებისა და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტებისათვის - 45 ცალი.

სტუდენტთა მომსახურების განყოფილებამ 2012 წელს რეაგირება მოახდინა 3950 შემოსულ კორესპოდენციაზე. კორესპოდენციის ნაწილზე გამოცემულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტები:

- კურსდამთავრებულთათვის დიპლომის გაცემის თაობაზე;
- სტუდენტთა მონაცემთა ბაზაში ცვლილების თაობაზე;
- დიპლომისა და დიპლომის დანართის დუბლიკატის გაცემის შესახებ;
- დიპლომისა და დიპლომის დანართის შესწორების თაობაზე;
- კურსდამთავრებულთა პირად საქმეში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

აბიტურიენტების მოსამზადებელმა განყოფილებამ 2012 წელს გააგრძელა 2011 წელს ჩარიცხული აბიტურიენტებისათვის სასწავლო კურსების ორგანიზება როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში. მოახდინა სამთვიანი კურსების ორგანიზება მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის.

➢ უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში, აკადემიური პროგრამების განხორციელების სრულყოფის და სტუდენტთა საატესტაციო პროცედურების ორგანიზება-ჩატარების მიზნით, (სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო კავშირში) ფუნქციონირებს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი, რომლის მიერ 2012 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნა 2011–2012 საასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის I კოლოქვიუმის, 2011–2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის II კოლოქვიუმის, 2011–2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ძირითადი გამოცდების, 2012–2013 საასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის I კოლოქვიუმის, 2012–2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის II კოლოქვიუმის, 2012–2013 საასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასკვნითი გამოცდების ჩატარება. ხსენებული სამუშაო, რიცხვებში შემდეგი სახით გამოიხატება - სულ სტუდენტთა ცოდნის შემოწმება მოხდა 2587 საგანში და ატესტაცია (კოლოქვიუმი, გამოცდა) სტუდენტებმა გაიარეს 345023-ჯერ. (**შენიშვნა:** ანგარიშს თან ახლავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის საგამოცდო ცენტრის მიერ 2012 წელს განხორციელებული საქმიანობის დეტალური ანგარიში).

➢ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ 2012 წლის განმავლობაში აქტიური მუშაობა განახორციელა უწყვეტი განათლების პროგრამებისა და აკადემიური განვითარების სფეროში, რა მიზნითაც ნაყოფიერად იმოქმედა უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა. კერძოდ, მის მიერ ან მისი უშუალო მონაწილეობით უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული იქნა სხვადასხვა სფეროსა და მიმართულების -

15 სასერტიფიკატო კურსი;

4 ტრენინგ-კურსი;

7 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კურსი (მოთხოვნის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იქნა 2 კურსის აკრედიტაციის პროცედურის გატარება);

4 პროფესიული განათლების პროგრამა.

ამ მხრივ უნივერსიტეტი ჩართულია საერთაშორისო პროექტში EU CHEMLAB, რომლის ფარგლებშიც, მომზადდა აკადემიური სასერტიფიკატო კურსი **„ქიმიის ლაბორატორიის ტექნიკური ასისტენტი“**. კურსი შექმნილია გერმანიის საერთაშორისო დახმარების საზოგადოების ფინანსური მხარდაჭერით და საფუძვლად უდევს გერმანული დუალური პროფესიული განათლების მოდელი.

აღნიშნული პროგრამებით, 2012 წლის განმავლობაში ისარგებლა 268 მსმენელმა. (**შენიშვნა:** ანგარიშს თან ახლავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ 2012 წელს განხორციელებული საქმიანობის დეტალური აღწერა).

➢ 2012 წელს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აქტიურად საქმიანობდა საგამომცემლო სფეროში, რა მიზნითაც განხორციელდა უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბის სრული რეაბილიტაცია და გადაიარაღება. კერძოდ, უნივერსიტეტი ახორციელებს ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობის სერიის – ,,Very short introductions” – 12 წიგნის თარგმანს, უკვე დაიბეჭდა ამ სერიის ოთხი წიგნი. გამოსაცემად მომზადდა - სხვადასხვა უცხეოლი ავტორების 5 წიგნი, გამოსაცემად მზადდებოდა და დღესაც მიმდინარეობს აღნიშნული პორცესი - 2 წიგნი. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით განხორციელდა სადისერტაციო და სხვა ტიპის ნაშრომების ელექტრონული ვერსიების გასაჯაროება, მზადდებოდა და მზადდება ამჟამადაც ელექტრონულ გამოცემების სერიები.

უნივერსიტეტი აქტიურად სარგებელობს საკუთარი სასტამბო მომსახურეობით, რაც იმაში გამოიხატა, რომ უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობისათვის აუცილებელი პოლიგრაფიული ნაწარმის უდიდესი უმრავლესობა 2012 წელს უნივერსიტეტის სტამბაში დაიბეჭდა (წიგნები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, ჟურნალები, ფერადი მაღალხარისხიანი პლაკატები, პოსტერები, ბუკლეტები, მოსაწვევი და სავიზიტო ბარათები, დიპლომები, სერთიფიკატები, ტესტები და სხვა. განსაკუთრებულად უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა უნივერსიტეტის სტამბამ უზრუნველყო უნივერტიტეტთან შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პერიოდული გამოცემებისა და ნაშრომების ბეჭდვა. (**შენიშვნა:** ანგარიშს თან ახლავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გამომცემლობის მიერ 2012 წელს განხორციელებული საქმიანობის დეტალური აღწერა).

- 2012 წელს უნივერსიტეტის მიერ საბიბლიოთეკო საქმიანობა უფრო მრავალფეროვანი, მასშტაბური და ეფექტური გახდა. ბიბლიოთეკის აბონემენტის განყოფილებაში ჩაეწერა 1398 მკითხველი, აბონემენტიდან გაიცა 4341 წიგნი, დაბრუნდა – 4660. უნივერსიტეტმა აქტიურად იმუშავა საბიბლიოთეკო დავალიენებების კონტროლის მხრივაც, რა მიზნითაც განხორციელდა დავალიენებების ინვენტარიზაცია და დავალიანებების მქონე პირებისათვის დაგზავნილ იქნა შეტყობინებები და მოთხოვნები. აღნიშნული საქმიანობის შედეგად, 2012 წლის განმავლობაში, ძველი დავალიანებიდან დაბრუნდა 311 საბიბლიოთეკო ერთეული. საანგარიშო პერიოდში მომზადდა ჩამოსაწერი საბიბლიოთეკო დოკუმენტების სია (სულ 2224 ერთეული). 2012 წელს ბიბლიოთეკაში შემოვიდა, აღირიცხა და დამუშავდა 14 177 საბიბლიოთეკო ერთეული (შეძენილი და საჩუქრად მიღებული საბიბლიოთეკო ერთეულები). სასწავლო პროგრამებში მითითებული ლიტერატურისა და საბიბლიოთეკო ფონდის შესაბამისობაში მოსაყვანად, მიმდინარეობდა ბიბლიოთეკისათის სალექციო კურსის ელექტრონული ვარიანტების გადაცემა და აღრიცხვა. აღნიშნული სალექციო კურსები თავსდებოდა ბიბლიოთეკის ინტერნეტ-გვერდზე. 2012 წელს უნივერსიტეტმა საჩუქრად მიიღო გიორგი ახვლედიანის, მარიამ ლორთქიფანიძის, ანდრია აფაქიძისა და შოთა მესხიას პირადი კოლექციები. განბხორციელდა 8 რარიტეტული წიგნის მულაჟი, რესტავრაცია ჩაუტარდა უნივერსიტეტში დაცულ 3 ფერწერულ ტილოსა და ჩარჩოებს, 1282 ფურცელს და 273 საბიბლიოთეკო ერთეულს. დამზადდა სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოების ასლები (5354 ფურცელი) და აიკინძა 65 წიგნი. აგრეთვე აიკინძა და

ყდაში ჩაისვა 2007, 2008 და 2009 წლის ჟურნალ-გაზეთები. ქიმიურად დამუშავდა 150-მდე რარიტეტული გამოცემა.

2012 წელს მიმდინარე ინვენტერიზაციის ფარგლებში შტრიხკოდი მიენიჭა 305 932 საბიბლიოთეკო დოკუმენტს. სულ შტრიხკოდი მინიჭებული აქვს 1 249 526 საბიბლიოთეკო ერთეულს. ელექტრონულ კატალოგში შევიდა 45 000-მდე საბიბლიოთეკო ჩანაწერი, დასკანერდა საბიბლიოთეკო დოკუმენტების 90 000-მდე გვერდი. გაკეთდა მათი ელექტრონული ვერსია და განთავსდა ბიბლიოთეკის ვებ–გვერდზე.

2012 წელს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში გაიხსნა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შოთა რუსთაველის სახელობის ცენტრალური სამკითხველო დარბაზი და 80 ადგილიანი ინტერნეტ ცენტრი.

2012 წელს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, კონკურსის შედეგად, სტაჟირება გაიარა ოცდაორმა სტუდენტმა, ხოლო სტუდენტური დასაქმების პროგრამის ,,SUMMER JOB”-ის პროექტის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 475-მა სტუდენტმა. პროექტის ფარგლებში შეიქმნა 232 დასახელების წიგნის ელ. ვერისია, აქედან ვებ-გვერდზე სრულადაა ატვირთული 61 დასახელების წიგნი.

გარდა საბიბლიოთეკო მომსახურებისა, უნივერსიტეტში ხორციელდება პროექტები ,,ბიბლიოთეკის მეგობართა კლუბი”, ,,93-ე აუდიტორია”, ,,კინოკლუბი”, რომელთა ფარგლებში ხორციელდება მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება.

- 2012 წელს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ჩვეულ რიტმში გააგრძელა საქმიანობა სამუზეუმო საქმიანობის მხრივ. უნივერსიტეტის მუზეუმში 2012 წელს შემოსული ყველა მასალა (ხელნაწერი, ნაბეჭდი ლიტერატურა, უნივერსიტეტისათვის საიუბილეოდ, საჩუქრად გადმოცემული ნივთები და სხვა) სათანადო აღრიცხვასა და მათ კუთვნილ ადგილზე განთავსებას დაექვემდებარა. აღირიცხა თსუ ისტორიისა და გეოგრაფიის ექსპონატები. ხსენებული მასალებიდან გამოირჩევა აკადემიკოსების ალექსანდრე ჯავახიშვილის და გიორგი ახვლედიანის, აგრეთვე უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის იუსტინე აბულაძის ხელნაწერები. უნივერსიტეტმა განახორციელა ფართო საგანმანათლებლო-საგამოფენო საქმიანობა სტუდენტთა, სკოლის მოსწავლეთა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის და მათი მონაწილეობით. კერძოდ, კი წლის განმავლობაში ჩატარდა ათეულობით გამოფენა, გამოფენა-კონკურსი, პერსონალური გამოფენა და სხვა.

რესურსების მართვა

➢ 2012 წლის განმავლობაში უნივერსიტეტი ტრადიციულად ინტენსიურად საქმიანობდა ფინანსების მართვის, ბიუჯეტის შედგენა-შესრულების, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიმართულებებით. უნივერსიტეტის 2012 წლის ბიუჯეტი წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე შეთანხმების შემდგომ 2012 წლის 25 იანვარს დამტკიცდა რეგენტთა საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით.

2012 წლის ბიუჯეტის შემოსავლებმა შეადგინა 56 800 354 ლარი და 2011 წლის გარდამავალი ნაშთის ჩათვლით (ნაშთი - 11 822 997 ლარი) განისაზღვრა ჯამში 68 623 351 ლარით. მათ შორის:

- სახელმწიფო ბიუჯეტი - საგანმანათლებლო/კვლევითი პროგრამა - 4 568 215 ლარი;
- ,,განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის გრანტებისა და სტიპენდიების მინიჭების პროგრამის'' ქვეპროგრამა - ,,პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს'' - 519 750 ლარი;
- ეკონომიკური შემოსავლები (სასწავლო გრანტი, სწავლის ქირა, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები) - 44 453 093 ლარი;
- ეროვნული სამეცნიერო გრანტები - 3 630 518 ლარი;
- საერთაშორისო გრანტები - 3 136 057 ლარი;
- ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის გრანტები - 492 721 ლარი.

2012 წლის ხარჯმა (სულ ასიგნებები) შეადგინა 54 378 992 ლარი. მათ შორის:

- შრომის ანაზღაურების მუხლით - 23 259 466 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 18 503 480 ლარი;
- მივლინებები - 925 665 ლარი;
- ოფისის ხარჯები - 4 749 268 ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი-810 914 ლარი;
- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი - 84 340 ლარი;
- ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი - 342 660 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი - 1 104 859 ლარი;

- გრანტები - 692 915 ლარი;
- სხვა ხარჯები - 2 182 537 ლარი;
- არაფინანსური აქტივები - 1 722 888 ლარი.
- 2012 წლის გარდამავალი ნაშთი საერთაშორისო გრანტებისა და ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების ჩათვლით - 14 244 360 ლარი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2012 წელს უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელფასი გაიზარდა 10-20 პროცენტის ფარგლებში. გაგრძელდა წინა პერიოდში გამოკვეთილი კურსი ფინანსური რესურსების განკარგვაში ფაკულტეტებისათვის სულ უფრო მეტი უფლებების დელეგირების მიმართულებით, რაც მიზნად ისახავდა აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების მოწესრიგება-რაციონალიზაციას, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას და პასუხისმგებლობას ბიუჯეტის პრიორიტეტული მუხლების ხარჯვით მიმართულებებზე.

2012 წელს შეუფერხებლად ფინანსდებოდა სხვადასხვა საუნივერსიტეტო სტუდენტური ღონისძიებები კერძოდ; საერთაშორისო კონფერენციები, სემინარები, საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან გაცვლითი პროგრამები, სპორტულ, კულტურულ-სანახაობრივ ღონისძიებებში სტუდენტების მონაწილეობები.

ასევე შეფერხების გარეშე ფინანსდებოდა მნიშვნელოვანი სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები, საიუბილეო ღონისძიებები, იმიტირებულ პროცესებში მონაწილე სტუდენტები და სხვა.

დაფინანსდა დოქტორანტების მნიშვნელოვანი ნაწილიც. წარმატებული სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ 150 ლარიანი პრეზიდენტის სტიპენდიით. სულ 384 წარჩინებულ სტუდენტზე გაიცა სტიპენდია. ასევე საუნივერსიტეტო დაფინანსებიდან 650 000 ლარით დაფინანსდა ბაკალავრიატის სტუდენტების და მაგისტრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილის სწავლის საფასური.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დროულად იქნა წარდგენილი 2013-2016 წლების საბიუჯეტო განაცხადი.

2012 წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების მომსახურებას, მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ კვარტალური და წლიური ანგარიშგებების მომზადებას, სათანადო ფონდებსა და დონორ ორგანიზაციებში წარდგენას. შესაბამისი მუშაობა იქნა გაწეული უნივერსიტეტთან

შემოერთებულ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში მიმდინარე გრანტების მომსახურებაზე.

2012 წლის განმავლობაში დიდი ყურადღება ექცეოდა დებიტორ-კრედიტორულ და ანგარიშვალდებულ პირებზე დავალიანებათა შემცირების საკითხს. დროულად და ხარისხიანად ხდებოდა კვარტალური და წლიური ბალანსების წარდგენა. უნივერსიტეტი ახორციელებდა კვარტალური, წლიური და სპეციალური გამოკვლევების სტატისტიკური ანგარიშგების მომზადებას და დროულად წარდგენას სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტსა და სხვა უწყებებში.

2012 წელს უნივერსიტეტი ჩართული იყო სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, განხორციელების და ანგარიშგების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. წლის განმავლობაში სულ გამოცხადდა 446 ელექტრონული ტენდერი და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. გაფორმდა და აიტვირთა ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტენდერით სახელმწიფო შესყიდვაზე 246 ხელშეკრულება, ხოლო 614 ხელშეკრულება გამარტივებულ შესყიდვაზე. არ შედგა 200 ტენდერი, რაც ძირითადად განპირობებული იყო მცირეფასიანი საგრანტო შესყიდვებით. ფაქტობრივად წლის განმავლობაში, დაფინანსების ყველა წყაროდან განხორციელდა 5 641 977 ლარის ღირებულების საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა. აქედან 4 162 901 ლარის ელექტრონული ტენდერების საშუალებით, 1 335 474 გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხოლო 143 602 ლარის პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობით, რაც მთლიანი შესყიდვების 3%-ს არ აღემატება. შესყიდვის ამ საშუალების გამოყენება ძირითადად განპირობებული იყო თსუ-ს საკომუნიკაციო სისტემებში ავარიული დაზიანებების ლიკვიდაციისა და საგრანტო პროექტებისათვის აუცილებელი შესყიდვებით. ელექტრონული ვაჭრობის შედეგად მიღებულია პირობითი ეკონომია (სხვაობა სავარაუდო ფასსა და ფაქტობრივ ფასს შორის) - 664 759 ლარის ოდენობით.

გარდა აღნიშნულისა სერიოზული მუშაობა იქნა გაწეული თსუ 2013 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის და რეგენტთა საბჭოში დასამტკიცებლად წარდგენის მიმართულებით.

- მატერიალური რესურსების მართვის მხრივ 2012 წლის განმავლობაში, როგორც საკუთარი ძალებით, ისე საკითხის სრული შესწავლისა და გაანალიზების შედეგად მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე ჩატარებული სახელმწიფო შესყიდვების

მეშვეობით - სისტემატურად მიმდინარეობდა სხვადასხვა სასწავლო კორპუსების სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძოდ, წლის განმავლობაში შესრულდა შემდეგი სარემონტო სამუშაოები: ა) ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი (მიშენება); ბ) კავკასიის ალ. თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი ნაწილობრივ; გ) მორფოლოგიის ინსტიტუტი, ნაწილობრივ - III სართული; გ) ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის ატომური რეაქტორის შენობის ნაწილი; დ) უნივერსიტეტის კორპუსებში არსებული ლიფტები; ე) მორფოლოგიის და ფიზიკის ინსტიტუტებში დამონტაჟდა გაზგაყვანილობა; ვ) ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის და მორფოლოგიის ინსტიტუტებში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

წლის განმავლობაში დიდი ინტენსივობით მიდინარეობდა უნივერსიტეტის უძრავ ქონებაზე (შენობები, მიწისქვეშა კომუნიკაციები) წყალმომარაგების ძირითადი ქსელის, შენობებში წყალმომარაგების წერტილების, შენობების ელექტრომომარაგების ქსელისა და წყაროების, საკანალიზაციო ქსელის და წერტილების, კავშირგაბმულობის ქსელისა და საშუალებების შეცვლა, შეკეთება, რეაბილიტაცია, რემონტი და სრულმასშტაბიანი მომსახურეობა.

როგორც საკუთრივ უნივერსიტეტის სასწავლო და სხვა კორპუსებში, ისე შემოერთებულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ხორციელდებოდა მცირე დაზიანებების მიმდინარე პერმანენტული შეკეთება, რაც ჯამში ასობით კონკრეტულ შემთხვევას მოიცავს. მკაცრი კონტროლის ქვეშ მიმდინარეობდა კომუნალური გადასახადების გადასახდელად დოკუმენტაციის მომზადება და გადახდა, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება, სამშენებლო-სარემონტო და საექსპლუატაციო სამუშაოების ორგანიზებულად წარმართვა და შემსრულებელ ორგანიზაციაზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელება.

მთელი წლის განმავლობაში პერიოდულად მიმდინარეობდა მოძრავი ქონების გადაადგილება, რაც ძირითადად გამოწვეული იყო შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების უძრავი ქონების სახელმწიფო მიერ გასხვისებით.

ინტენსიურად მიმდინარეობდა შეძენილი სასწავლო და სხვა დანიშნულების ინვენტარით მოძველებული მოძრავი ქონების ჩანაცვლება.

წლის განმავლობაში გატარებული იქნა ყველა საჭირო ღონისძიება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სისუფთავის დაცვის მიზნით, მათ შორის უნივერსიტეტის კორპუსებში ჩატარებული იქნა დეზინფექცია, დეზინსექცია-დერატიზაცია.

ჩატარდა სამუშაოები უნივერსიტეტის სტუდქალაქის სტაბილური ფუნქციონირების, სტუდქალაქის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის მიზნით. სრული დატვირთვით

იმუშავა უნივერსიტეტის ავტოპარკმა, როგორც შიდასაუნივერსიტეტო (თანამშრომლები, სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები; საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ტრანსპორტირება /ექსპედიცია და სხვა/) აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილების, ისე უნივერსიტეტის სტუმრების (მათ შორის უცხოელი სტუმრების) მომსახურეობის მხრივ.

2012 წელს მოხდა უნივერსიტეტის ავტოპარკის განახლება 2 ახალი ავტომანქანით, რის საფუძველზეც მკვეთრად შემცირდა პროფილაქტიკური ხარჯები. 2011 წელს თსუ–ს ავტოფარეხის პროფილაქტიკური მომსახურების ხარჯმა შეადგინა (83664,32 ლარი), ხოლო 2012 წელს გაიხარჯა მხოლოდ 59191.20 ლარი.

ხორციელდებოდა სისტემატური კონტროლი სასაწყობო მეურნეობაზე, მატერიალურ ფასეულობების მარაგზე და ამოწურვის შემთხვევაში დროული რეაგირება. ხდებოდა მიღებული და გაცემული საქონლის ელექტრონული და დოკუმენტალური აღრიცხვის წარმოება და დამუშავებული დოკუმენტაციის საფინანსო აღრიცხვისათვის მომზადება.

- 2012 წლის განმავლობაში პერსონალის მართვისა და მომსახურეობის მიმართულებით, უნივერსიტეტის მიერ კონკურსი გამოცხადდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, იურიდიულ, მედიცინის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებზე. საკონკურსო წესით შერჩეულ აკადემიურ პერსონალთან სააუდიტორიო დატვირთვის გათვალისწინებით განისაზღვრა შრომის ანაზღაურების ოდენობა და გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები (სულ 2012 წლის განმავლობაში შრომითი ხელშეკრულება გაფორმდა 530 პროფესორთან). გაკონტროლდა ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი სააუდიტორიო დატვირთვების შესაბამისობა პროფესორებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობებთან. ინფორმაცია პროფესორის ინდივიდუალურ დატვირთვასთან შედარების მიზნით დამუშავდა შესაბამისი დეპარტამენტების მიერ. სემესტრების მიხედვით, ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი სააუდიტორიო საათების გათვალისწინებით, შრომითი ხელშეკრულება გაფორმდა 2170 მოწვეულ პედაგოგთან (მათ შორის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 538, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 252, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 268, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 409, იურიდიულ ფაკულტეტზე 261, მედიცინის ფაკულტეტზე

145, ენების შემსწავლელ ცენტრში 246, აბიტურიენტთა მოსამზადებელ ცენტრში 8, ტურიზმის საერთაშორისო სკოლაში 43).

2012 წელს თსუ ფაკულტეტებზე და სხვა სტრუქტურულ ერთეულებში, სამუშაოების მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით მოწვეულ დამხმარე პერსონალთან განხორციელდა ხელშეკრულებების გაფორმება ან განახლება, წლის განმავლობაში მომზადდა და გაფორმდა 1226 შრომითი ხელშეკრულება.

წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საკადრო ბაზაში სახელშეკრულებო მონაცემების, მათ შორის ხელფასის შესახებ მონაცემების შეტანა და კონტროლი.

მიმდინარეობდა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების ცალკეული საკითხების კოორდინაცია (ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამით მოცული იყო თსუ აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალი და მათი ოჯახის წევრები, სულ 2690 პირი. შევნიშნავთ, რომ 2011 წელთან შედარებით დაზღვეულთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 1.5-ჯერ გაიზარდა); ყოველთვიურად კონტროლდებოდა და ზუსტდებოდა დაზღვეული პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა, რის საფუძველზეც უნივერსიტეტი ახდენდა თანხის გადარიცხვას. დეპარტამენტიდან გამოყოფილი საკონტაქტო პირი თავისი კომპენტენციის ფარგლებში კონსულტაციას უწევდა თსუ-ს პერსონალს დაზღვევის დამატებით პირობებთან დაკავშირებით, უზრუნველყოფდა ინფორმაციის განთავსებას თსუ-ს ვებ-გვერდზე, განცხადებების მიღებას შესაბამისი დოკუმენტების თანხლებით და გადაცემას სადაზღვევო კომპანიისადმი.

2012 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა საპენსიო ასაკის თანამშრომლებზე პენსიის დანიშვნისათვის საჭირო საბუთების მომზადება, თსუ პერსონალისათვის შრომით სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით კონსულტაციებისა და მეთოდური დახმარების გაწევა, თანამდებობისა და ხელფასის ოდენობის დამადასტურებელი ცნობების გაცემა (ქართულ და ინგლისურ ენებზე), წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცლების კონტროლი საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვის მიზნით, აკადემიური და ადმისტრაციულ-დამხმარე პერსონალის შვებულებების გრაფიკის კონტროლი.

- კომპიუტერული რესურსების მართვის მხრივ, 2012 წელს მიმდინარეობდა მწყობრიდან გამოსული კომპიუტერული ტექნიკის, პერიფერიული მოწყობილობების და

ქსელური აპარატურის ტექნიკური რემონტი, აღდგენა და არსებული მარაგების მიხედვით კომპიუტერების გაძლიერება, დაზიანებული სისტემების განახლება, ვირუსებისა და სხვა სახის არასასურველი პროგრამებისგან გაწმენდა, სისტემების ოპტიმიზირება. უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს გაეწია კონსულტაციები კომპიუტერულ ტექნიკასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. სხვადასხვა კორპუსებში და სტრუქტურულ ერთეულებში დამონტაჟდა და გაიმართა ახალი კომპიუტერული ტექნიკა, განხორციელდა მათი ინტერნეტის ქსელში ჩართვა. შემოერთებული სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტების ადგილმონაცვლეობის მიხედვით მონტაჟდებოდა ახალი კომპიუტერული ქსელი. ხორციელდებოდა მონიტორინგი სახელწმიფო შესყიდვების გზით შეძენილ საქონელზე, მის ხარისხზე, მოწოდების ვადებზე და რაოდენობებზე, ხდებოდა ტენდერით მიღებულ წუნდებულ კომპიუტერულ ტექნიკაზე კონტროლი. დისტანციური სწავლების კუთხით მოხდა ათეულობით ელექტრონული კურსის დამატება მართვის პროგრამული სისტემის (MOODLE) გარემოში, ამავე სისტემაში შემუშავდა სტუდენტთა ტესტირების შესაბამისი საპილოტე მოდული. პერიოდულად მზადდებოდა უნივერსიტეტის მიერ ჩასატარებელი ტენდერებისათვის ტექნიკური დოკუმენტაცია და საექსპერტო შეფასებები, ხორციელდებოდა შეძენილი კომპიუტერული ტექნიკის ინსპექტირება. გაიმართა და დაკონფიგურირდა რიგი ინტერნეტ სერვისებისა, მონაცემთა დაშვების და ფილტრაციის სერვერი, მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის სერვისი. დაიხვეწა და გაუმჯობესდა არსებული მონაცემთა ბაზების ფუნქციონალი და ვიზუალური მხარე, მოხდა რომოდენიმე ცალკე მყოფი მონაცემთა ბაზების გაერთიანება, დამუშავდა სტუდენტის სტატუსის განსაზღვრის შუალედური ინტერფეისი (მის მიერ უნივერსიტეტის წინაშე ფინანსური ვალდებულებების შესრულების მიხედვით), რომლითაც სასწავლო პროცესის მართვის სისტემა სარგებლობს, ასევე დამუშავდა უსაფრთხოების მართვის ახალი პოლიტიკა.

საუნივერსიტეტო, საგარეო ურთიერთობები და ურთიერთობა საზოგადოებასთან

➢ საზოგადოებასთან ურთიერთობის განხრით, უნივერსიტეტის პოპულარიზაციის მიზნით 2012 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები, ჩატარდა არაერთი ღონისძიება, რაც აქტიურად შუქდებოდა მედია-საშუალებებით. გარდა ამისა მომზადდა საგაზეთო სტატიები, ასევე ტელე-რადიო სიუჟეტები და გადაცემები, გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „თსუ მეცნიერება“ ორი ნომერი, საგაზეთო ჩანართის „უნივერსიტეტი“ 12 ნომერი, რომელთა მიზანი უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის, კვლევითი პროექტების, სასწავლო პროგრამების და სტუდენტური აქტივობის პოპულარიზაციაა. ფაქტიურად დასრულდა უნივერსიტეტის ახალ ვებ-გვერდზე მუშაობა, რომელიც მომხმარებლისთვის უფრო მარტივად აღსაქმელი და მეტი ინფორმაციის მომცველი იქნება, განახლდა მისი დიზაინი და პროგრამული მხარე, მასთან ერთად დაწყებულია თანმდევი ვებ-გვერდების დამზადება. ამჟამად მიმდინარეობს ვებ-გვერდის ტექნიკურად გამართვის სამუშაოები.

ხორციელდებოდა უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების სარეკლამო კამპანიაც. აღნიშნულ საკითხზე უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა სარეკლამო სააგენტოებთან. წლის განმავლობაში განთავსდა რამდენიმე სარეკლამო რგოლი სხვადასხვა სატელევიზიო არხზე, რადიოში. მიმდინარეობდა სამუშაოები შიდასაუნივერსიტეტო კომუნიკაციის გაძლიერებისა და გაფართოების მიზნით, რა მხრივაც მეტად გაუმჯობესდა შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩართულობა და კავშირი. 2012 წელს გაიმართა სემინარები, საჯარო ლექციები, ღონისძიებები და კონკურსები, გაფორმდა მემორანდუმები, რომელშიც მონაწილეობას აქტიურად იღებდნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები. ღონისძიებების რაოდენობამ წლის განმავლობაში 300-ს გადააჭარბა. უნივერსიტეტის უზრუნველყოფდა 2012 წელს მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ოპერატიულ და მიზანმიმართულ გავრცელებას საუნივერსიტეტო სივრცეში *(ვებ-გვერდი, სარეკლამო დაფები, უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსში დამონტაჟებული ეკრანები).* 2012 წელს სოციალურ ქსელში – ,,Facebook”-ში აქტივობის მაჩვენებელი გაიზარდა. დღეისთვის 32 000-მდე მომხმარებელი იღებს ინფორმაციას თსუ-ს საქმიანობის შესახებ, გვიზიარებს საკუთარ მოსაზრებებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საკუთარი არხი ,,YouTube”–ზე, სადაც თავსდება ყველა საჯარო ლექციის ჩანაწერი და უნივერსიტეტის შესახებ გადაღებული

საინტერესო ვიდეო–მასალები. 2012 წელს უნივერსიტეტი აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობდა სახელისუფლებო სტრუქტურებთან, საუნივერსიტეტო საქმიანობით დაინტერესებულ ორგანიზაციებთან დაწესებულებებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით, აღსანიშნავია უნივერსიტეტის მიერ გრძელვადიანი, მათ შორის 2012 წელს განხორციელებული და მიმდინარე ერთობლივი ათამდე პროექტი, როგორიცაა ლიტერატურული კონკურსი **,,შემოდგომის ლეგენდა",** პროექტი „მისია 2012", ,,ვეფხისტყაოსნის'' კითხვის დღე, „სექტორი 12'' და სხვა.

2012 წლის განმავლობაში უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობდა მას-მედიის საშუალებებთან. 2012 წელს უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენები გაშუქდა **ტელევიზიებში:** ,,საზოგადოებრივი მაუწყებელი'', ,,რუსთავი 2'', ,,იმედი'', ,,რეგიონ–ტვ'', ,,კავკასია'', ,,რეალ-ტვ'', ,,საპატრიარქოს ტელევიზია'', ინტერნეტ–ტელევიზია, ტელეკომპანია ,,აჭარა'', ,,პიკი'', ,,მეცხრე არხი'', ,,მაესტრო''; **გაზეთებსა და ჟურნალებში:** ,,24 საათი'', **,,**ახალი თაობა'', **,,**რეზონანსი'', ,,საქართველოს რესპუბლიკა'', ,,კვირის პალიტრა'', „ტაბულა'', „ლიბერალი'', „პრაიმ–თაიმი''. **რადიოში: ,,**საზოგადოებრივი რადიო'', ,,ფორტუნა'', **,,**რადიო იმედი'', **,,**რადიო უცნობი'', ,,თავისუფლება'', ,,მწვანე ტალღა'', „რადიო პალიტრა''; **საინფორმაციო სააგენტოებში:** ,,ინტერპრესნიუსი'', ,,პირველი'', **,,**მედიანიუსი'', **,,**ბი-ეს-პრესი'', **,,**კავკას-პრესი'', **,,**ახალი ამბები _ საქართველო'', ,,საინფორმაციო სააგენტო –ფაქტი'', ,,ექსპრესნიუსი'', „ინფო-9'', ,,ივერონი'', „ფრონტნიუსი'', „ნიუს.ჯი''.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საჭირო რესპოდენტთა შერჩევას, აწვდის მათ ინფორმაციას უნივერსიტეტში დაგეგმილი სიახლეებისა და პროექტების შესახებ, რომლის მიხედვითაც ჟურნალისტები ქმნიან სატელევიზიო თუ რადიო სიუჟეტებს, წერენ საინტერესო სტატიებს. ტელეკომპანია ,,რუსთავი 2''-ის, ,,იმედისა'' და ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის'' ეთერში მომზადდა ექსკლუზიური სიუჟეტები უნივერსიტეტში მიმდინარე საინტერესო მოვლენებზე. ასევე მოთხოვნების მიხედვით ხორციელდებოდა ვიდეოკონფერენციები პარტნიორ უნივერსიტეტებთან. თსუ-სა და სასჯელაღსულების დეპარტამენტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ჩატარდა კომპიუტერების შემსწავლელი კურსები ქსნის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, ასევე განხორციელდა საჯარო ლექციების ინტერნეტით ვიდეო ტრანსლიაცია Live რეჟიმში საქართველოს რეგიონების სასწავლო დაწესებულებებისათვის.

➢ საგარეო ურთიერთობების მხრივ, საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება/განახლების მიმართულებით, ახალი პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მოძიების, სხვადასხვა საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან აქტიური მიმოწერისა და მოლაპარაკებების საფუძველზე, შემუშავებულ იქნა აკადემიური თანამშრომლობის ფორმატი და საბოლოო ჯამში გაფორმდა/განახლდა განათლებისა და კულტურის სფეროში თანმაშრომლობის 20 ხელშეკრულება თურქეთის, იტალიის, გერმანიის, ფინეთის, საფრანგეთის, პორტუგალიის, ესტონეთის, ლიტვის, შვედეთის, ნორვეგიის, კვიპროსის, ჩეხეთისა და ბულგარეთის სახელმწიფოთა წამყვან დაწესებულებებთან. პროექტის ინიციატორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით მომზადდა და ევროკომისიაში დასაფინანსებლად წარდგენილ იქნა 8 საერთაშორისო საგრანტო განაცხადი, რომელთაგან დაფინანსდა 6 განაცხადი. პარტნიორობის ფარგლებში მიმდინარეობდა ERASMUS MUNDUS-ისა და TEMPUS-ის პროექტების ადმინისტრირება.

ERASMUS MUNDUS-ის პროექტების ფარგლებში საგარეო უნივერსიტეტი ორგანიზებას უწევს სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას ევროპის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; ტემპუსის პროექტების ფარგლებში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სწავლის, სწავლების, კვლევის და განათლების მენეჯმენტის ინტერნაციონალიზაციის მიზნით; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის „უცხოელი პროფესორები თსუ-ში“ ფარგლებში, განხორციელდა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან 66 უცხოელი პროფესორის ვიზიტი, რომლებმაც მოკლევადიანი ინტენსიური სალექციო კურსები ჩაატარეს თსუ-ს სტუდენტებისათვის.

2012 წელს უნივერსიტეტის 4 საპატიო სტუმარს მიენიჭა საპატიო დოქტორის ტიტული. უნივერსიტეტში დაარსდა თურქული კულტურის, ინდოეთმცოდნეობისა და იაპონისტიკის ცენტრები. ასევე, გაიხსნა ქართული ენისა და კულტურის ცენტრი ლაიდენის უნივერსიტეტში (ნიდერლანდები), რომელსაც ხელმძღვანელობენ თსუ-დან მიწვეული პროფესორები ერთი სემესტრის ხანგრძლივობით. ფაკულტეტებზე და სტენდებზე გავრცელდა 300-მდე განცხადება გაცვლითი პროგრამებისა და საგანმანათლებლო საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ. დაინტერესებულ პირებს გაეწია კონსულტაციები სააპლიკაციო პროცედურებთან დაკავშირებით. პარტნიორ უნივერსიტეტებთან დადებული

თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში ორგანიზება გაეწია თსუ-ს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შესარჩევ 21 კონკურსს. ფაკულტეტების მხრიდან წარდგინების საფუძველზე მობილობის პროგრამაში მონაწილეობა მიიღო ორმა სტუდენტმა და ათმა აკადემიურმა პერსონალმა. პარტნიორ უნივერსიტეტებთან დადებული თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში ორგანიზება გაეწია გაცვლითი სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ვიზიტს 24 პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან და უზრუნველყოფილი იქნა მათი მობილობა თსუ-ს პროფილურ ფაკულტეტებზე. (**შენიშვნა:** ანგარიშს თან ახლავს უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ 2012 წელს განხორციელებული საქმიანობის დეტალური აღწერა).

➢ 2012 წლის მანძილზე უნივერსიტეტის მიერ მომზადდა და გამოიცა გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტის" 15 ნომერი (ტირაჟი - 500). *გაზეთის ნომრებში გაშუქდა* უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებისა და ღონისძიებების (კონფერენციების, იუბილეების, ბრიფინგების, პრეზენტაციების, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების, უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონიალების და ა.შ.) შესახებ ინფორმაციები; უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების არჩევნებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევის შესახებ ინფორმაცია; უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებები და მათი საქმიანობა; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმიანობა; უნივერსიტეტში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიახლეები; სხვადასხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაცია და საგრანტო კონკურსში გამარჯვებული სამეცნიერო პროექტები; უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობები; პროფესორთა, მეცნიერ-მკვლევართა, წარმატებულ დოქტორანტთა, მაგისტრანტთა და ბაკალავრთა შესახებ ინფორმაციები (ინტერვიუს სახით); სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, რაც ხელს უწყობს მეცნიერების კომერციალიზაციის პროცესს; საზღვარგარეთის უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებულ გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობის შესახებ ინფორმაციები; უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტური მოძრაობებისა და დამოუკიდებელ სტუდენტთა საქმიანობა, მათი ინიციატივები და ღონისძიებები;

სტუდენტური პროექტები; უნივერსიტეტის სტუდენტთა კულტურული და სპორტული მიღწევები.

➢ მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და დიდი ოდენობისაა უნივერსიტეტის მიერ ოფიციალური მიმოწერის სახით ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დამყარებული ოფიციალური ურთიერთობა, რაც საკანცელარიო წესით აღირიცხება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კანცელარიის მიერ და 2012 წელს გამოიხატა შემდეგ რიცხვებში -

2012 წელს კანცელარიაში დარეგისტრირდა - 58 411 კორესპონდენცია.

გამოიცა ბრძანება - 7 021;

გაფორმდა ხელშეკრულება (მემორანდუმი) - 7 393 (51);

სხვადასხვა ორგანიზაციებში და თსუ-ს

სტრუქტურულ ერთეულებში გაიგზავნა

კორესპონდენცია - 9 660.

გთავაზობთ 2007-2012 წლებში კანცელარიაში დოკუმენტბრუნვის მონაცემების შედარებით ანალიზს:

	შემოსული კორესპონდენცია	ბრძანებები	ხელშეკრულებები	გასული კორესპონდენცია
2008 წელი	25 482	4 573	3 349	20 565
2009 წელი	31 227	5 372	6 946	20 801
2010 წელი	32 098	5 705	8 775	7 279
2011 წელი	35 550	7 210	8 534	8 607
2012 წელი	34 337	7 021	7 393	9 660

გასული კორესპონდენციის რაოდენობის ზრდა ძირითადად უკავშირდება განათლების სამინისტროდან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან, სხვადასხვა სამინისტროებიდან, ასევე სხვადასხვა ქვეყნების საგანმანათლებლო დოკუმენტების გადამოწმების ცენტრებიდან და უნივერსიტეტებიდან შემოსულ მოთხოვნებს დიპლომების

ავთენტურობის დადგენაზე, სტუდენტთა მიერ უცხოეთში აღებული კრედიტების აღიარების, უნივერსიტეტში სწავლის, დიპლომის და დიპლომის დანართების გაცემის ფაქტის დადასტურებაზე. შემოსული კორესპოდენციის რაოდენობის კლება განაპირობა კანცელარიისა და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ეფექტურმა მენეჯმენტმა. კერძოდ, სტუდენტთა განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სემესტრული და შუალედური გამოცდების რეგულაციის პროცესთან, მიიღება და პასუხის გაცემას აწარმოებს საგამოცდო ცენტრი ელექტრონულად SMS.GE–ის მეშვეობით. აღნიშნული საშუალებას იძლევა უმოკლესი დროის განმავლობაში მიიღოს სტუდენტმა სასურველი ინფორმაცია და პასუხი განცხადებაზე. ხელშეკრულებების რაოდენობის შემცირება კი უკავშირდება მოქმედი ხელშეკრულებების ვადის ბრძანებით გაგრძელების დანერგილ პრაქტიკას. გაიზარდა დოკუმენტბრუნვის კოეფიციენტი. კერძოდ, შემოსულია 34 337 კორესპონდენცია, ხოლო განხილულია 40 117, აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ კორესპონდენცია რეზოლუციის მიხედვით განსახილველად გადაეცემა რამოდენიმე სამსახურს.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღინიშნის თსუ-ს ადმინისტრაციული ერთეულების მიერ დოკუმენტების განხილვისა და შესრულების ვადების რეგულაციის შესახებ. კერძოდ, შემოსული კორესპონდენციის 20% შესრულდა დაუყოვნებლივ 1-2 დღის ვადაში, 61% კი 2-15 დღის ვადაში, ანუ 15 დღის ვადაში შემოსული კორესპონდენციის 81%-ზე დასრულდა მუშაობა და მოიხსნა კონტროლიდან. 15 დან-30 დღეში, დოკუმენტზე მუშაობის ვადაში (30 დღე) დასრულდა მუშაობა კორესპონდენციის 16%-ზე, მხოლოდ კორესპონდენციის 3% მოიხსნა კონტროლიდან 30 დღის შემდგომ პერიოდში. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული გასაზღვრული იყო ძირითადად ობიექტური გარემოებებით, რაც დაკავშირებული იყო ტენდერის გამოცხადებით რეგულირებად საკითხებთან.

კანცელარიაში შეიქმნა და დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოება, რომლის საშუალებითაც ხდება შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია და დოკუმენტების აღრიცხვა. მონაცემთა ბაზა საშუალებას იძლევა გვქონდეს სრული სურათი დოკუმენტების დადგენილ ვადებში შესრულების შესახებ. ყოველთვიურად დგება შეუსრულებელი დოკუმენტების ნუსხა, რომელიც ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შემდგომი რეაგირებისათვის. ანალოგიური მონაცემთა ბაზა მუშაობს ფაკულტეტებსა და დეპარტამენტებში, რომელიც ადაპტირებულია მათ სამუშაო გარემოსთან. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი პროგრამა მუშაობს ავტონომიურ რეჟიმში – თსუ-ში

მოქმედი ქსელური სისტემის – კანცელარიის ჯგუფში, იგი მოკლებულია უნივერსიტეტის სივრცეში დოკუმენტის ელექტრონული ვერსიის სახით მოძრაობის საშუალებას. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შეიქმნას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ერთიანი პროგრამა, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, საჯაროობა, კანონიერების უზრუნველყოფა და კონტროლი, უსაფრთხოების დაცვა

➢ საქმიანობის კანონიერების უზრუნველყოფის მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს 2012 წლის განმავლობაში ჩატარებული საქმიანობა, რაც მოიცავდა უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელი საქმიანობის იურიდიულ ანალიზსა და რეკომენდაციებს, სამართლებრივი რეკომენდაციების საფუძველზე კანონდარღვევათა მაქსიმალურ პრევენციას, ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფას, სასამართლოში უნივერსიტეტის ინტერესების დაცვას. კერძოდ, 2012 წელს მიმდინარე სასამართლო პროცესები (სულ 12), აკადემიური პერსონალის კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავა - 9, ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული დავა - 2, სამეცნიერო პერსონალის სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებული დავა - 1. 2012 წელს დამთავრებული საქმეები (სულ ორი) აკადემიური პერსონალის კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავა - 1, სტუდენტისათვის ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული დავა - 1.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე რეგისტრირებული იქნა 31 განაცხადი. განაცხადების საფუძველზე სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მოთხოვნილი იყო ინფორმაცია - სტუდენტური თვითმმართველობის საპატიო წევრების შესახებ; სტუდენტური თვითმმართველობის მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და გაწეული ხარჯების თაობაზე; უნივერსიტეტის მიერ, საზღვარგარეთ სხვადასხვა სასწავლო პროგრამებზე, კონფერენციებზე და ა.შ. სტუდენტების დაფინანსებაზე გაწეული ხარჯები; სტუდენტთა რაოდენობის, რომლებიც ჩაირიცხნენ უნივერსიტეტში 2010-2011 წლებში და მოიპოვეს გრანტი; უცხოელი სტუდენტების საერთო რაოდენობის მოთხოვნით (ფაკულტეტების მიხედვით); 2011-2012 წლებში ,,ერასმუს მუნდუსის'' პროგრამის ფარგლებში მონაწილე

სტუდენტთა საერთო რაოდენობის თაობაზე; სტუდენტების მიერ დაწერილი განცხადებების სახეობების თაობაზე; უცხო ქვეყნის, სოციალურად დაუცველი, ეთნიკური უმცირესობის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების, სტიპენდიანტების თაობაზე ინფორმაციის მოთხოვნით, უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეულ ლექტორთა სია, ინფორმაცია მათი საათობრივი ანაზღაურების შესახებ; ინფორმაცია პროფესორ-მასწავლებელთა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა პრემიებისა და გაწეული სამივლინებო ხარჯების თაობაზე, უნივერსიტეტში აკადემიური და დამხმარე პერსონალის თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ კონკურსთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის 2012 წლის პირველ კვარტალში სამივლინებო ხარჯის თაობაზე ინფორმაცია, უნივერსიტეტში ბოლო 10 წლის მანძილზე, ადმინისტრაციაში ვის, როდის რა თანამდებობა ეკავა, რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტების ასლები, მედიცინის ფაკულტეტის 2011-2012 სასწავლო წლის სპეციალობების ცხრილები და გეგმები, სია აკადემიური პერსონალისა, რომლებიც კითხულობენ შესაბამის დისციპლინებს და მათი თვიური ანაზღაურება (საათობრივი ანაზღაურების მითითებით), სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2013 წლის ბიუჯეტის პროექტი და 2013 წლის შესყიდვების გეგმა. ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა, გარდა პერსონალური მონაცემების შემცვლელი მოთხოვნებისა.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში შემოსულ 1143 განცხადებაში დასმულ საკითხებს გაუკეთდა სამართლებრივი შეფასება და რეაგირება, მომზადდა და სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებებსა და მემორანდუმებს, მომზადდა ქირავნობის და იჯარის ხელშეკრულებები.

გატარდა და მიმდინარეობს ღონისძიებები უნივერსიტეტის სარგებლობაში და ბალანსზე არსებული უძრავი ქონების დადგენილი ფორმით საკუთრებაში გადმოცემასთან დაკავშირებით (მათ შორის საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე უნივერსიტეტისათვის შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები). უნდა აღინიშნოს, რომ დღეის მდგომარეობით საკუთრებაში გადმოცემულია 15 ერთეული სასწავლო კორპუსი. გრძელდება მუშაობა უნივერსიტეტის სარგებლობაში და ასევე ბალანსზე არსებული უძრავი ქონების უნივერსიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით.

2012 წელს დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების, მათ შორის სტრუქტურული ერთეულების დებულებების სამართლებრივი ექსპერტიზა, მათში ცვლიბებების შეტანა და ახალი დებულებების დამტკიცება.

- საქმიანობის კანონიერების უზრუნველსაყოფად და კონტროლის მიზნით უნივერსიტეტის მიერ 2012 წლის განმავლობაში შიდა აუდიტის განხორციელების მხრივ გაწეული იქნა მასშტაბური და სხვადასხვამხრივი სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა უნივერსიტეტის მიმდინარე სამუშაო პროცესში არსებული საკითხების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. ამასთან სამსახური ახორციელებდა შემოსული წერილების (საჩივრები, განცხადებები, კითხვები და სხვა) შესწავლასა და შესაბამის რეაგირებას. უნივერსიტეტის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა სიტყვიერი მომართვის საფუძველზე, სამსახური პერმანენტულად უწევდა მათ კონსულტაციებს და აძლევდა სათანადო რეკომენდაციებს სამუშაო პროცესში წამოჭრილ პრობლემურ საკითხებთან მიმართებაში.

შერჩევით შემოწმდა საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილების მიერ 2012 წლის იანვარ–თებერვალში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები. 2011 წელს განხორციელებულ შემოწმებებზე შემუშავებული და გაცემული რეკომენდაციების შემდგომი შესრულების მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით 2012 წლის 18 აპრილს თსუ-ის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან გამოთხოვნილ იქნა ინფორმაციები, რომელთა განხილვის შემდეგ გამოირკვა, რომ სამსახურის რეკომენდაციები გათვალისწინებულია და მიმდინარეობს მუშაობა არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად, გაწეული რეკომენდაციების შესაბამისად.

შერჩევით შემოწმდა თსუ-ს სტრუქტურული ერთეულების - ფაკულტეტების მიერ 2012 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის პროექტის შედგენისას თსუ-ში ამ მიმართულებით არსებული ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობა. ხსენებული საკითხის შესწავლით გამოვლენილი ხარვეზების დარეგულირების მიზნით შემუშავებული იქნა კონკრეტულად გასატარებელი ღონისძიებები და რეკომენდაციები. მუდმივად მიმდინარეობს, აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული თსუ-ს აკადემიური პერსონალის და შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული პერსონალის სავალდებულო მინიმალური დატვირთვის შესრულების შერჩევითი შემოწმება. შემოწმებით აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის, დარეგულირების და შემდგომი პრევენციის მიზნით შემუშავებული და დაგზავნილი იქნა

კონკრეტულად გასატარებელი ღონისძიებები და რეკომენდაციები, ხოლო შედეგად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული იქნა შესაბამისი ბრძანებები ფაკულტეტებზე ზედმეტად ანაზღაურებული თანხების დაკავება/დაბრუნებასთან დაკავშირებით.

განიხილული იქნა სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის მიერ საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების ფარგლებში გაცემული მატერიალური ფასეულობის უნივერსიტეტის ბალანსზე ასახვის საკითხი.

შერჩევით შემოწმებულ იქნა ფაკულტეტების სტუდენტებისათვის გახსნილ პირად საქმეებში არსებული დოკუმენტების მდგომარეობა, მომზადდა რეკომენდაციები.

2012 წლის 16-19 ივლისს განხორციელდა საველე პრაქტიკაში მონაწილე ჯგუფების მონიტორინგი.

შესწავლილი იქნა დისციპლინური და სამსახურში დაგვიანებით გამოცხადების, სამსახურის გაცდენის, ლექციების გაცდენის და დაგვიანებით დაწყების შემთხვევები, რომლებიც შესაბამისი რეაგირებისათვის გადაეცა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას და/ან შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

სამსახურის მიერ განხილული იქნა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2011 წლის 30 სექტემბრის N 174/02-01 ბრძანების საფუძველზე შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის აპარატის მიერ წარმოდგენილი აქტის პროექტი, შედგენილი ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგებზე, 2012 წლის 9 იანვრით დათარიღებული ინვენტარიზაციის შუალედური აქტი, ცენტრალური საინვენტარიზაციო კომისიის აპარატის სხდომის ოქმი და ინვენტარიზაციის აქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით, შემუშავდა კონკრეტული წინადადებები და კომისიას მიეცა რეკომენდაცია თსუ-ის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, მათ ხელმძღვანელებთან, ყოფილ და ამჟამინდელ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან მჭიდრო თანამშრომლობით გააგრძელოს მუშაობა აქტში დაფიქსირებული ფაქტების თითოეული შემთხვევის უფრო ძირეული შესწავლისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით.

- დაცვისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით 2012 წელს ტარდებოდა მიმდინარე საქმიანობა. უნივერსიტეტის უძრავი ქონების, თანამშრომელთა და სტუდენტთა, ქონებისა და ინვენტარის დაცვის გაუმჯობესების მიზნით აღდგენილი, დამონტაჟებული და

გამართული იქნა სახანძრო, დაცვითი სიგნალიზაციები, რომლებიც ჩართული იქნენ ერთიან ცენტრალიზებულ სასიგნალიზაციო სისტემასა და ასევე ჩაერთო დაცვის პოლიციის სასიგნალიზაციო სისტემაში, დამონტაჟდა მეტალოჰალოგენის პროჟექტორები, IP სისტემის ციფრული ვიდეოკამერები და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიული მართვის ცენტრში მოთავსდა ვიდეომეთვალყურეობის საშუალება, სადაც ოპერატიული მართვის ცენტრის მორიგე კონტროლს უწევს ვიდეომეთვალყურეობის სიტემის გამართულობას ტექნიკური დაცვის თანამშრომელთან ერთად, უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში და შემოერთებულ კვლევით ინსტიტუტებში მომუშავე პერსონალს დაურიგდათ გამაფრთხილებელი ხასიათის წერილები თსუ–ს კორპუსებში და შემოერთებული კვლევითი ინტიტუტებში კუსტარული გამათბობლების გამოყენების დაუშვებლობის შესახებ. ბაგების სტუდქალაქის და მაღლივი კორპუსის დამაკავშირებელ ფეხით მოსიარულეთა ხიდთან სისტემატიურად ხდებოდა მოქალაქეებზე თავდასხმა. აღნიშნული ქმედებების აღმოფხვრის და შესაძლო ტრაგიკული შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით გაიხსნა საგუშაგო და დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ ხორციელდება აღნიშნული ტერიტორიის 24 საათიანი პატრულირება. განხორციელდა ახალი, დამატებითი საგუშაგოების გახსნა. უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან, რის საფუძველზეც ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის გამოყენებითი კვლევითი ცენტრის დაცვას ახორციელებს ზემოაღნიშნული დეპარტამენტი.

2012 წლის შემოდგომაზე დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრეინინგები სახანძრო და საგანგაშო ვითარებაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სამსახურის თანამშრომლებს ჩაუტარდათ თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები რადიოკავშირის საშუალებების სწორად გამოყენებასთან დაკავშირებით. პირად შემადგენლობასთან მუშაობის და ღონისძიებების უსაფრთხოების ჯგუფის თანამშრომლები 24 საათის განმავლობაში, სამსახურის უფროსთან შეთანხმებული სქემის შესაბამისად, ახორციელებენ თსუ–ს სასწავლო კორპუსების და უნივერსიტეტთან შემოერთებული კვლევითი ინსტიტუტების შემოვლა–შემოწმებას. ობიექტზე აღმოჩენილი დარღვევების გამო მცველებს ოფიციალურად გამოეცხადათ საყვედურები და მიეცათ სავალდებულო მითითებები დარღვევის ფაქტების შემდგომი პრევენციის მიზნით. პირადი შემადგენლობის რაოდენობის გაზრდის გამო ობიექტებზე მცველების ეკიპირების

მოწესრიგების მიზნით შეძენილ იქნა 50 ცალი ქურთუკი. გატარდა აუცილებელი ღონისძიებები უსაფრთხოების გაუმჯობესებისა და ტექნიკური ჯგუფის განვითარებისათვის.

საქმიანობა კულტურისა და სპორტის სფეროში

უნივერსიტეტში 2012 წლის 2,3,4 იანვარს გაიმართა საახალწლო წვეულება თანამშრომელთა შვილებისათვის, სადაც თსუ-ს სტუდენტურმა თეატრმა „სხვენი'' წარმოადგინა თეატრალური საახალწლო შოუ პროგრამა;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,უნივერსიტეტი'' 2012 წლის 2 თებერვლიდან 8 თებერვლის ჩათვლით იმყოფებოდა გასტროლზე იტალიაში, ქალაქ აგრიჯენტოში, სადაც გაიმართა საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი და მოიპოვა უმაღლესი ჯილდო - გრანპრი.

2012 წელს მოხდა ,,თსუ-არტის" პირველი გამოსვლა „ნიჭიერში'' თსუ-ს მუსიკალურმა ბენდმა „თსუ-არტმა'' იანვარი-თებერვლის პერიოდში წარმატებით გაიარა „ნიჭიერის'' შესარჩევი ტურები და პირველ ცოცხალ კონცერტზე წარსდგა მაყურებლის წინაშე, რის შემდგომაც მათი კონცერტები გაიმართა ასევე თსუ-ს პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში.

2012 წელს უნივერსიტეტის სტუდენტურმა თეატრმა ,,სხვენი'' წარმოადგინა პრემიერა გ. კაჭარავას პიესაზე ,,განკითხვის დღე''. პრემიერა შედგა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში. მაყურებლის სიმრავლისა და სპექტაკლის მაღალი მოთხოვნადობის გამო დაინიშნა სპექტაკლის დამატებითი სეანსები.

თსუ პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართა გოგონათა ანსამბლის, ,,თსუ გორდელას'' სოლო კონცერტი.

თსუ-ს პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართა პოპულარული სატელევიზიო შოუს, ,,თქვენი შოუ-ს'' კონცერტი.

სტუდენტური დღეები 2012 მაისის თვეში უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა, სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად ჩაატარა უკვე ტრადიციად ქცეული პროექტი, ,,სტუდენტური დღეები''.

2012 წელს დაიწყო ახალი იუმორისტული პროექტი - ,,თსუ''-ს თასი იუმორში''.

2012 წლის 24 მაისს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის დარბაზში გაიმართა თსუ ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,უნივერსიტეტის'' სოლო კონცერტი.

2012 წლის 18 სექტემბერს, თსუ-ს I კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართა პირველკურსელთათვის მიძღვნილი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თსუ-ს გორდელამ და ანსამბლმა „უნივერსიტეტი".

2012 წლის 10 ოქტომბერს თსუ-ს I კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართა საქველმოქმედო საღამო „ერთად დავეხმაროთ ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ'' 23 წლის ნანა კვარაცხელიას.

2012 წლის 19 ნოემბერს თსუ-ს პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართა თსუ-ს შიდა იუმორისტული ფესტივალი ,,თსუ-ს თასი იუმორში''.

2012 წლის 22 ნოემბერს უკვე კლუბ night office -ში გაიმართა თსუ-ს მუსიკალური ბენდის TSU ART - ის კონცერტი.

2012 წლის 15 დეკემბერს, თსუ-ს I კორპუსში ჩატარდა ნინო ზედელაშვილის წიგნის - „ნაწილიანი'' (მოგონებები გოდერძი ჩოხელზე) პრეზენტაცია.

ძალისმიერი სამჭიდი 26 მაისს წოლჭიმში თბილისის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა საქავიამშენის დარბაზში, სადაც

სახვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში და სხვადასხვა სახეობებში უნივერსიტეტმა მოიპოვა ჯამში 13 ოქრო, 4 ვერცხლი და 2 ბრინჯაო.

ანალოგიური სახეობის შეჯიბრი გაიმართა თსუ-ს მაღლივი კორპუსის სპორტული დარბაზში უნივერსიადის სახით, სადაც უნივერსიტეტმა დაიკავა გუნდური ადგილი - 1 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო.

საქავიამშენის დარბაზში გაიმართა თბილისის ღია ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდში. სადაც უნივერსიტეტმა დაიკავა პირველი გუნდური ადგილი - 10 ოქრო, 11 ვერცხლი და 2 ბრინჯაო.

2012 წელს ასევე ქ. თელავში, კრივისა და ძალოსნობის დარბაზში გაიმართა საქართველოს თასის გათამაშება 20 წლამდელ სპორტსმენებში, სადაცა უნივერსიტეტმა დაიკავა პირველი გუნდური ადგილი - 3 ოქრო, 4 ვერცხლი და 1 ბრინჯაო.

თსუ-ს მეორე კორპუსის სპორტულ დარბაზში ჩატარდა თბილისის ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. სადაც უნივერსიტეტის სახელით დავით ჭელიძემ დაიკავა მე-3 ადგილი დაიკავა. ამავე სახეობაში ქ. დუშეთში ჩატარდა საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი, სადაც დავით ჭელიძემ დაიკავა პიველი ადგილი, გიორგი პოპიაშვილმა მე-2 ადგილი. ამავე სახეობაში შეჯიბრი განმეორებით ჩატარდა უნივერსიტეტში და დავით ჭელიძემ დაიკავა მე-

3 ადგილი. სპორტულ კომპლექს არენაზე გაიმართა თბილისის პირველობა ამავე სახეობაში სადაც გიორგი პოპიაშვილმა დაიკავა მე-3 ადგილი. თბილისის ლოკომოტივის სტადიონზე გაიმართა თბილისის გუნდური ჩემპიონატი, სადაც თსუ-ს გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა. 1 ივლისს ლოკომოტივის სტადიონზე უკვე საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა, სადაც მონაწილეობას იღებდა თსუ-ს 5 სპორტსმენი. 29-30 სექტემბერს ქ. ბათუმში გაიმართა აჭარის ღია ჩემპიონატი, სადაც მონაწილეობას იღებდა თსუ-ს 2 სპორტსმენი. 24-25 დეკემბერს ქ. ბათუმში გაიმართა აჭარის ღია ჩემპიონატი, სადაც ლევან ჩიტიშვილმა მეორე ადგილი დაიკავა.

2012 წელს ვაჟ კალათბურთელთა გუნდმა სუპერლიგის ჩემპიონატში მერვე ადგილი დაიკავა. გუნდმა დუდუ დადიანის, ზ. საკანდელიძის და მ. ქორქიას მემორიალზე მიიღო მონაწილეობა. ასევე, გუნდმა მიიღო მონაწილეობა საქართველოს თასზე. ხოლო 2012 წელს სტუდენტ კალათბურთელთა გუნდმა „სტუდენტურ ლიგაზე“ მეორე ადგილი დაიკავა.

2012 წელს ქალ ფრენბურთელთა გუნდმა საქართველოს ჩემპიონატში მე-4 ადგილი დაიკავა, ხოლო სტუდნეტ ქალ-ფრენბურთელთა გუნდმა უნივერსიადაზე დაიკავა პირველი ადგილი.

2012 წელს ვაჟ ხელბურთელთა გუნდმა საქართველოს ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, ისევე როგორც უნივერსიადაზე.

2012 წელს ფუტსალის გუნდმა საქართველოს ჩემპიონატში მე-2 ადგილი დაიკავა, გახდა საქართველოს თასის მფლობელი. გუნდმა უნივერსიადაზე დაიკავა მე-3 ადგილი, ხოლო ევროპის უნივერსიადაზე - მესამე.

2012 წელს უნივერსიადაზე თსუ-ს სპორტსმენებმა 24 სპორტულ სახეობიდან 11 ოქროს, 16 ვერცხლის და 11 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

2012 წელს მიხეილ თასოშვილმა სნოუბორდისტებს შორის შეჯიბრში პირველი ადგილი დაიკავა. თეონა მელიქიშვილმა - მეორე ადგილი.

მნიშვნელოვან და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „თსუ-საბავშვო უნივერსიტეტის“ პროექტი, რაც თბილისისა და რეგიონების საჯარო და კერძო სკოლებთან მუშაობას გულისხმობს. ეს პროექტი უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან სრული მხარდაჭერით სარგებლობს. ამ საკითხებთან დაკავშირებით, დეკემბერის თვეში გაიმართა შეხვედრა მინისტრ, ბატონ გიორგი მარგველაშვილთან და მინისტრის მოადგილე, ბატონ ალუდა გოგლიჩიძესთან.

თსუ-ის პროფესორები და ადმინისტრაციული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობენ ამ პროექტში - ატარებენ ლექციებს, კონფერენციებს, ვიქტორინებს თსუ-ში და ასევე გადიან რეგიონებში და ატარებენ შეხვედრებს რეგიონების სკოლების მოსწავლეებთან და პედაგოგებთან. განსაკუთრებით პოპულარული გახდა მოსწავლეთა ექსკურსიები პირველ კორპუსში, ბიბლიოთეკაში, უნივერსიტეტის სხვადასხვა მუზეუმში. მოსწავლეებს მეგზურობას უწევენ მუზეუმის თანამშრომლები. მოსწავლეებისა და უნივერსიტეტის დაახლოებას ემსახურება პროექტი „თსუ-დესპანი“, რომელიც, უკვე მეორედ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინიციატივით ხორციელდება. 2012 წელს „თსუ-დესპანის“ პროექტში სხვადასხვა ფაკულტეტის 600-მდე სტუდენტი ჩაება. აღსანიშნავია აგრეთვე პროექტი „სტუდენტთა და მოსწავლეთა სადისკუსიო კლუბი“. ამ კლუბის საქმიანობა გასცდა თსუ-ის საზღვრებს, ფილიალები ინერგება საჯარო და კერძო სკოლებში. კლუბის მუშაობა საკმაოდ ეფექტურია, დიდად უწყობს ხელს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას. 2012 წელს მიმდინარეობდა და ამჟამადაც ხოციელდება „ნორჩ ასტრონომთა სკოლის“ პროექტი, რომლის მეცადინეობა პლანეტარიუმში ტარდება, ლექციები და ლაბორატორული მეცადინეობები მათემატიკაში, თეორიულ და ექსპერიმენტულ ფიზიკაში, ქიმიაში, კონფერენციები და ვიქტორინები ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში და სხვა. მოსწავლეებთან შეხვედრები ტარდება არა მარტო უნივერსიტეტის კედლებში, არამედ სკოლებშიც. მხოლოდ უკანასკნელ 2 თვეში ჩატარდა მასშტაბური გასვლითი ღონისძიებები სტეფანწმინდაში, ამბროლაურში, ახალციხეში, დუშეთში, ხაშმში. ლექციები და პრეზენტაციები ჩაატარეს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებმა, აგრეთვე სტუდენტებმაც, რაც უაღრესად შთამბეჭდავი იყო მოსწავლეებისათვის. აღსანიშნავია „ნორჩ ეკონომისტთა სკოლის“ წარმატებული საქმიანობა. ლექციები ტარდება ყოველ შაბათს. მსმენელთა რიცხვი 100-120 მოსწავლეს მოიცავს. თსუ-საბავშვო უნივერსიტეტი თანამშრომლობს და ერთობლივ პროექტებს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, თსუ ბიბლიოთეკასთან, მუზეუმებთან, მონაწილეობა მიიღო ექსპო-ჯორჯიას მიერ ორგანიზებულ „განათლების გამოფენაში“. თუ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ სამუშაოს ციფრებით გამოვხატავთ, შეიძლება ვთქვათ, რომ თსუ-საბავშვო უნივერსიტეტმა მოიცვა 5000-მდე მოსწავლე, გასვლითი შეხვედრები ჩაატარა საქართველოს 12 რეგიონის სკოლებში, უშუალო კონტაქტი დაამყარა 50-ზე მეტ საჯარო თუ კერძო სკოლასთან.

წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №2, დანართი 4.

დადგენილება №36/2013
25 თებერვალი, 2013

"ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 თებერვლის №12/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ჩ'' ქვეპუნქტის და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის 2013 წლის 20 თებერვლის №4244/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 თებერვლის №12/2012 დადგენილების №1 დანართით დამტკიცებული ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებიდან ამოღებულ იქნეს მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „შ“ ქვეპუნქტი.
2. დადგენილებით მიღებული საკითხი დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ს კანცელარიას.
4. დადგენილება ძალაშია გამოცემისთანავე.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №2, დანართი 5.

დადგენილება №40/2013
4 მარტი, 2013

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №220/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე–8 მუხლის „ჩ" ქვეპუნქტის, მე–17 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ხ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის – ევროპული კვლევების ინსტიტუტის" დებულება (დანართი №1).
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

<u>დანართი №1</u>

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულება

მუხლი 1. ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტი

1. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი") ევროპული კვლევების ინსტიტუტი (შემდგომში - „ინსტიტუტი") არის უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული და სარგებლობს შესაბამისი უფლებამოსილებებით.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.
3. ინსტიტუტს გააჩნია საკუთარი ქვეანგარიში, ლოგო და ბეჭედი.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზანი

ინსტიტუტის მიზანია:
ა) ინტერდისციპლინური სწავლების განვითარება ევროპული კავშირის შესახებ, ასევე მის მომცველ ფართო საერთაშორისო კონტექსტში ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ და კულტურულ საკითხებზე სწავლებისა და კვლევის კოორდინირებულად წარმართვა;
ბ) უმაღლესი განათლების სფეროში ევროპული ინტეგრაციისა და ევროპულ საგანმანათლებლო ტრადიციებთან თავსებადი განათლების სისტემის დამკვიდრების ხელშეწყობა;
გ) საქართველოში ევროპული ინსტიტუტების, ფასეულობებისა და ღირებულებების შესახებ ცოდნის გავრცელება;
დ) საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და დისტანციური სწავლების საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირება;
ე) ინოვაციური მეთოდების დანერგვა სამეცნიერო კვლევასა და პედაგოგიურ საქმიანობაში;
ვ) სასწავლო პროცესში სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ინტეგრირება;
ზ) ინტერდისციპლინური კვლევის განვითარება;
თ) ევროპული საკითხებით დაინტერესებული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობის მაქსიმალური ხელშეწყობა;
ი) სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კვლევითი თანამშრომლობის განვითარება საზღვარგარეთის ქვეყნების წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელება.
ლ) მიგრაციის ინტერდისციპლინური კვლევის განვითარების ხელშეწყობა.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (ინსტიტუტის დირექტორი, სამეცნიერო საბჭო), მიგრაციის კომპეტენციის ცენრისაგან.

მუხლი 4. სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის საქმიანობას კოორდინაციას უწევს და მისი სამეცნიერო და სასწავლო პროცესის პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს სამეცნიერო საბჭო.
2. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედის ინსტიტუტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში მონაწილე თსუ-ს აკადემიური პერსონალი, მიგრაციის კომპეტენციის ცენტრის ხელმძღვანელი და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი (სათათბირო ხმის უფლებით).
3. სამეცნიერო საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით, დაუშვებელია ხმის უფლების გადაცემა.
4. სამეცნიერო საბჭო:
ა) განიხილავს დირექტორის მიერ წარმოდგენილი ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების სამუშაო გეგმას;
ბ) უფლებამოსილია დირექტორს მოსთხოვოს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების სამუშაო გეგმაში ცვლილებების შეტანა;
გ) განიხილავს დირექტორის ანგარიშს და ინსტიტუტის შემდგომი განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს.
5. სამეცნიერო საბჭო იკრიბება ყოველი სემესტრის დაწყებამდე დირექტორის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ის ინიციატივით.
6. სამეცნიერო საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს დირექტორი.
7. სამეცნიერო საბჭოს დღის წესრიგს განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე სამეცნიერო საბჭოს წევრთა წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით. რიგგარეშე სამეცნიერო საბჭოს დღის წესრიგი განისაზღვრება სამეცნიერო საბჭოს მოწვევის ინიციატორთა მიერ.
8. სამეცნიერო საბჭოს დღის წესრიგი წევრებს ეგზავნებათ სხდომის გამართვამდე არანაკლებ 1 დღით ადრე.
9. სამეცნიერო საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.
10. სამეცნიერო საბჭოს სხდომის მიმდინარეობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 5. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.
2. დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. დირექტორი:
ა) წარმართავს ინსტიტუტის საქმიანობას დებულებით გათვალისწინებული გეგმის მიზნების მისაღწევად;

ბ) ადგენს ინსტიტუტის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას და გადასცემს სამეცნიერო საბჭოს განსახილველად დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;
გ) ხელმძღვანელობს სასწავლო პროგრამების ორგანიზებულად წარმართვასა და განხორციელებას;
დ) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის აღმასრულებელი მდივანის კანდიდატურას, რომელიც ვალდებულია დირექტორს გაუწიოს ადმინისტრაციული დახმარება ინსტიტუტის საქმიანობის კოორდინაციულად წარმართვაში და ამავე დროს შეიძლება შეითავსოს ინსტიტუტში განხორციელებული სასწავლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციას;
ე) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუიდგენს შესაბამის კანდიდატურებს საშტატო თანამდებობებზე მიღების მიზნით.
ვ) ადგენს ინსტიტუტის ბიუჯეტსა და საშტატო ნუსხის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და რექტორს;
ზ) წარუდგენს ინსტიტუტის საქმიანობის ანგარიშს სამეცნიერო საბჭოს წელიწადში ერთხელ;
თ) შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირებთან ურთიერთობაში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მუხლი 6. მიგრაციის კომპეტენციის ცენტრი

მიგრაციის კომპეტენციის ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის ხელმძღვანელი, ცენტრის სტრუქტურაში ასევე შედის **სათათბირო ორგანო** კურიკულუმის განვითარების კომიტეტი.

მუხლი 7. კურიკულუმის განვითარების კომიტეტი

1. მიგრაციის კომპეტენციის ცენტრის საქმიანობას კოორდინაციას უწევს კოლეგიური ორგანო კურიკულუმის განვითარების კომიტეტი, რომელიც საზღვრავს ცენტრის სამეცნიერო და სასწავლო პროცესის პრიორიტეტულ მიმართულებებს.
2. კურიკულუმის განვითარების კომიტეტის შემადგენლობაში შედის ცენტრის მიერ განვითარებულ საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილე აკადემიური პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლების ორი წარმომადგენელი, ცენტრის არასაუნივერსიტეტო პარტნიორის ერთი წარმომადგენელი, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი (სათათბირო ხმის უფლებით).
3. კურიკულუმის განვითარების კომიტეტის თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მიგრაციის კომპეტენციის ცენტრის ხელმძღვანელი.
4. კურიკულუმის განვითარების კომიტეტი ამტკიცებს მიგრაციის კომპეტენციის ცენტრის დებულებას.

მუხლი 8. ინსტიტუტის თანამდებობები

1. ინსტიტუტისათვის განსაზღვრული თანამდებობებია:
ა) ინსტიტუტის დირექტორი;
ბ) აღმასრულებელი მდივანი;
გ) მიგრაციის კომპეტენციის ცენტრის ხელმძღვანელი;
დ) დირექტორის ტექნიკური ასისტენტი;
ე) ხარისხის მართვის თანამშრომელი;
ვ) მიგრაციის კომპეტენციის ცენტრის ორი მკვლევარი;
2. ინსტიტუტის პერსონალს დირექტორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს კანცლერი.

მუხლი 9. ინსტიტუტის დაფინანსება

ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია:
ა) გრანტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;
ბ) სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან მიღებული შემოსავლები;
გ) სახელშეკრულებო საფუძველზე მიღებული შემოსავლები;
დ) კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი სხვა შემოსავლები.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 11. ძალაში შესვლა

დებულება ძალაში შედის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №2, დანართი 6.

დადგენილება №43/2013
11 მარტი, 2013

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,არასამეწრამეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე–8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ჩ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ხ" ქვეპუნქტისა და თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის №7534/02, 07.03.2013 წერილების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ,,ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება (დანართი №1).
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ფაკულტეტის სტატუსი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“ ან ,,თსუ“) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი (შემდგომში - ,,ფაკულტეტი“) უნივერსიტეტის ერთ–ერთი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულია.
2. ფაკულტეტის ოფიციალური სახელწოდებაა ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.
3. ფაკულტეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.
4. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, თსუ წესდებით და წინამდებარე დებულებით.
5. ფაკულტეტი აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის ფარგლებში ახორციელებს სასწავლო (საგანმანათლებლო) პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს.
6. ფაკულტეტის ლოგოსა და ბლანკს აღნიშნული ლოგოს გამოსახულებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
7. ფაკულტეტს აქვს ბეჭედი, რომლითაც სარგებლობს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8. ფაკულტეტის მისამართია: თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქ. N2, (უნივერსიტეტის მე–10 კორპუსი).
9. ფაკულტეტის დღეს აწესებს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 2. ფაკულტეტის კომპეტენცია

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და კომპეტენციის სფეროებს, ფაკულტეტის სტრუქტურას, მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესსა და უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 3. ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები

1.ფაკულტეტის ძირითადი მიზნებია:

ა) ეკონომიკისა და ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით ინტეგრირებული, სისტემური, ფუნდამენტური ცოდნის, დამოუკიდებელი აზროვნების, შემოქმედებითი

და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების მქონე საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე

ბ) ფაკულტეტის ინტელექტუალური პოტენციალის კონცენტრაცია პრიორიტეტული სამეცნიერო პრობლემატიკის დამუშავებაზე, ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების და გლობალური ტენდენციების შესაბამისი სამეცნიერო–კვლევითი პროექტების ინიცირება ან/და ხელშეწყობა.

2.ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია

ა) ქვეყნის ეკონომიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების სისტემის ორგანიზაცია; პოტენციურ დამსაქმებლებთან კავშირების გაღრმავება ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა სასწავლო პრაქტიკით უზრუნველყოფისათვის, მათი შემდგომი დასაქმების ხელშეწყობა;

ბ) სტუდენტებისათვის სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევისათვის საუკეთესო პირობების შექმნა;

გ) სასწავლო პროგრამების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი კურიკულუმების, სილაბუსების შემდგომი სრულყოფის გზით;

დ) სასწავლო პროცესის მენეჯმენტის მუდმივი გაუმჯობესება;

ე) სამეცნიერო–კვლევით და სასწავლო საგრანტო კონკურსებში აქტიური მონაწილეობა;

ვ) თანამედროვე ეკონომიკური ლიტერატურის, მათ შორის პერიოდული სამეცნიერო გამოცემების და ელექტრონულ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა;

ზ) საერთაშორისო და რეგიონული კონფერენციების ორგანიზება;

თ) ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია;

ი) ეკონომიკური განათლების დასავლური მოდელების ანალიზი და მათი მიღწევების იმპლემენტაცია;

კ) სამოქალაქო საზოგადოებისა და ზოგადსაკაცობრიო დემოკრატიული ფასეულობების დანერგვისა და განვითარებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა.

თავი II
ფაკულტეტის სტრუქტურა და ფაკულტეტის ადმინისტრაცია (მმართველი ორგანოები)

მუხლი 4. ფაკულტეტის სტრუქტურა

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი, დეკანის მოადგილეები), ადმინისტრაციის შემადგენლობაში არსებული დამხმარე სტრუქტურული ერთეულები, სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები (კათედრები), ფაკულტეტის სამეცნიერო–კვლევითი ერთეულები, სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო.

2. დადგენილი წესის შესაბამისად ფაკულტეტზე იქმნება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო და კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია.

3. ფაკულტეტის შემადგენლობაში შეიძლება ასევე შევიდეს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულები.
4. ფაკულტეტზე მოქმედებს სტუდენტური თვითმმართველობა.
5. ფაკულტეტზე მოქმედებს საბავშვო უნივერსიტეტი „ნორჩი ეკონომისტი“.

მუხლი 5. სტრუქტურული ერთეულების შექმნისა და გაუქმების წესი

1. ფაკულტეტის ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნის ან არსებული ერთეულების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის დებულების მიღებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად.
2. ფაკულტეტზე არსებული სტრუქტურული ერთეულები წარმოდგენილია წინამდებარე დებულების დანართში.

მუხლი 6. მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები)

ფაკულტეტის მართვა ხორციელდება შემდეგი ორგანოების მეშვეობით: ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

თავი III
ფაკულტეტის პერსონალი

მუხლი 7. პერსონალის შემადგენლობა

1. ფაკულტეტზე არსებობს ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო, მასწავლებელთა და დამხმარე თანამდებობები.
2. აკადემიურ (საგანმანათლებლო-სამეცნიერო) პერსონალს მიეკუთვნება: სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ–პროფესორი.
3. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნებიან: დეკანი და დეკანის მოადგილეები.
4. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი.
5. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.
6. სამეცნიერო თანამდებობებს მიეკუთვნება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო პერსონალი.
7. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნებიან საშტატო განრიგით გათვალისწინებული, ასევე ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული შტატგარეშე, ფაკულტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები.
8. ფაკულტეტი უფლებამოსილია, ამ წესდებით გათვალისწინებული აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

მუხლი 8. აკადემიური პერსონალი

1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან.
2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი..
3. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.
4. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.
5. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება თსუ-ს წესდებითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 9. ადმინისტრაციული პერსონალი

1. ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების წესი და პირობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებითა და თსუ-ს წესდებით.
2. ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე განთავისუფლების საფუძველია:

ა) პირადი სურვილი;

ბ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) გარდაცვალება;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

ე) საქართველოს კანონმდებლობითა და თსუ-ს წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

თავი IV
ფაკულტეტის საბჭო

მუხლი 10. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა.
2. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედის: დეკანი, ფაკულტეტზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე არჩეული აკადემიური პერსონალი და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები.
3. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა შეადგენს საბჭოს წევრ აკადემიური პერსონალის 1/4-ს, დამრგვალება ხდება სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა სასარგებლოდ
4. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი/დეკანის მ.შ.. მისი არყოფნის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს

ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამსწრეთა უმრავლესობით არჩეული საბჭოს რიგითი წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან.
5. იმ შემთხვევაში თუ, დეკანი, როგორც აკადემიური პერსონალი არჩეულია ფაკულტეტის საბჭოს წევრად, მისი როგორც აკადემიური პერსონალიდან არჩეული ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილება წყდება.
6. იმ შემთხვევაში თუ, დეკანის მოავლეობის შემსრულებელი, როგორც ამავე ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი არჩეულია ფაკულტეტის საბჭოს წევრად, მისი როგორც აკადემიური პერსონალიდან არჩეული ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილება შეჩერდება დეკანის მოვალების შემსრულებლის ვადით.

მუხლი 11. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის საბჭო:

ა) ირჩევს ფაკულტეტის დეკანობის კანდიდატს თსუ-ს წესდებით განსაზღვრული წესით და არჩეულ კანდიდატურას დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;
ბ) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის პროექტს;
გ) დეკანის წარდგინებით განიხილავს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
დ) დეკანის წარდგინებით განიხილავს ფაკულტეტის დებულებას, რომელიც უნდა მოიცავდეს ფაკულტეტის სტრუქტურას და განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;
ე) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;
ვ) ფაკულტეტის დეკანს დასანიშნად წარუდგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურას;
ზ) თსუ აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის და საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის, აგრეთვე, ფაკულტეტზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას;
თ) თსუ აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში;
ი) ყოველი სემესტრის ბოლოს, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის წარდგინებით, ამტკიცებს ფაკულტეტზე შემდგომ სემესტრში ჩასატარებელი ღონისძიებების (კონფერენციები, სემინარები და ა.შ) გეგმას.
კ) თსუ აკადემიურ საბჭოს წარუდგენს კანდიდატურებს საპატიო დოქტორისა, ემერიტუსის წოდებების და სხვა ჯილდოების მისანიჭებლად;
ლ) უნივერსიტეტის რექტორს მიმართავს დასაბუთებული წარდგინებით აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების გამოყენების თაობაზე;

მ) დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წინადადებას. აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს.

მუხლი 12. ფაკულტეტის საბჭოს ფუნქციონირების პროცედურული საკითხები

1. ფაკულტეტის საბჭო პირველ სხდომაზე წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან ღია ან ფარული კენჭისყრით ირჩევს ფაკულტეტის საბჭოს მდივანს. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის ფუნქციაა ფაკულტეტის საბჭოს საქმისწარმოების ორგანიზება. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციას ასრულებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამსწრეთა უმრავლესობით არჩეული საბჭოს რიგითი წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან.
2. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს ამზადებს საბჭოს მდივანი დეკანის მითითებით. ფაკულტეტის საბჭოს წევრებს შეუძლიათ საბჭოს მდივნისათვის წერილობით დღის წესრიგის პროექტში გასათვალისწინებელი საკითხების მიწოდება. ფაკულტეტის საბჭოს მდივანი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თარიღამდე 3 სამუშაო დღით ადრე საჯარო ადგილას აქვეყნებს ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს.
3. ფაკულტეტის საბჭო სხდომის დაწყებისთანავე ღია კენჭისყრით ამტკიცებს დღის წესრიგს.
4. ფაკულტეტის საბჭოს წევრი ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსს.
5. ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსს.
6. ფაკულტეტის საბჭო, როგორც წესი, სხდომებს ატარებს კალენდარული თვის პირველი კვირის განმავლობაში. ფაკულტეტის საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს საკუთარი ინიციატივით ან ფაკულტეტის საბჭოს წევრთა 1/3 მოთხოვნით.
7. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია კონკრეტული საკითხის შესასწავლად შექმნას სპეციალური კომისია.
8. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ საკითხს მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტმა.
9. ფაკულტეტის საბჭოს ყოველი სხდომის თაობაზე ფორმდება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი. საბჭოს მდივანს ევალება

გადაწყვეტილებების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე გამოქვეყნება სხდომის დასრულებიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა.

მუხლი 13. ფაკულტეტის საბჭოს არჩევის წესი

1. ფაკულტეტის საბჭო შედგება 40 წევრისაგან, აქედან, საბჭო წარმოდგენილია შემდეგი სახით: ფაკულტეტის დეკანი, 31 წევრი აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებიდან და 8 წევრი სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებიდან.
2. ფაკულტეტის საბჭოს არჩევნები ინიშნება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.
3. ფაკულტეტის საბჭოს წევრი შეიძლება გახდეს აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი: სრული, ასოცირებული ან ასისტენტ–პროფესორი.
4. აკადემიურ პერსონალს შორის ფაკულტეტის საბჭოს წევრების არჩევა ხდება ფაკულტეტზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებიდან (კათედრებიდან), იმ პრინციპის დაცვით რომ ყოველ სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს (კათედრას) ჰყავს ფაკულტეტის საბჭოში არანაკლებ ორი წარმომადგენლისა. იმ შემთხვევაში როდესაც, სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული წარმოდგენილია ერთი აკადემიური პერსონალით, მაშინ ეს აკადემიური პერსონალი ავტომატურად ხდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი და წარმომადგენლობითი ქვოტა იცვლება ერთით. იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული სახით არჩეული ფაკულტეტის საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობა ნაკლებია 31-ზე, 31-მდე დარჩენილი ადგილები ნაწილდება სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებს შორის დაწყებული იმ სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულიდან, რომელსაც ჰყავს აკადემიური პერსონალის უდიდესი რაოდენობა.
5. ფაკულტეტის საბჭოს წევრები აირჩევა სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებზე (კათედრებზე).
6. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატების დასახელება ხდება იმავე კათედრის სხდომაზე. კათედრის თითოეულ წევრს შეუძლია საკუთარი ან/და სხვისი კანდიდატურის დასახელება.
7. ყოველ კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად. უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი კონკრეტული კათედრიდან დადგენილი რაოდენობის შესაბამისად ხდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი. თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. განმეორებით კენჭისყრაში მონაწილეობენ ის კანდიდატები, რომლებმაც დააგროვეს ხმათა თანაბარი რაოდენობა.
8. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადით. აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის გასვლის, აკადემიური თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების ან დებულების მიხედვით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირს უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი. ფაკულტეტის საბჭოს ვაკანტური ადგილის დასაკავებლად იმართება განმეორებითი არჩევნები დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი V
ფაკულტეტის დეკანი

მუხლი 14. ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. დეკანის თანამდებობა ერთი და იმავე პირის მიერ შეიძლება დაკავებული იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
2. ფაკულტეტის დეკანს ჰყავს ორი მოადგილე, საქმიანობის საფინანსო-ეკონომიკურ და საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროებში.
3. ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად მიმდინარეობას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის დებულებას;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ე) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ვ) პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

ზ) უნივერსიტეტის რექტორსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს დეკანის მოადგილეების კანდიდატურებს;

თ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციის პერსონალს;

ი) ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობით, თანამდებობაზე ნიშნავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს;

კ) რექტორს წარუდგენს აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების ნუსხის პროექტს;

ლ) ახორციელებს ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

4. დეკანი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – ბრძანებას.
5. ფაკულტეტის ინტერესებიდან გამომდინარე დეკანისათვის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლის (მივლინება) და შვებულების მიცემის გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, რაც ფორმდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.
6. დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, დეკანის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის არარსებობისას, მის მოვალეობას ავტომატურად ასრულებს დეკანის მოადგილე საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კი დეკანის მოადგილე საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროში.

მუხლი 15. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავების წესი

1. ფაკულტეტის დეკანობის კანდიდატს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ წარდგენილი არაუმეტეს 3 კანდიდატისაგან ირჩევს ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის საბჭოს მიერ არჩეულ კანდიდატურას დეკანის თანამდებობაზე ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
2. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დეკანობის კანდიდატი აირჩევა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
3. დეკანის თანამდებობა ერთი და იგივე პირმა შეიძლება დაიკავოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ, 4 წლის ვადით.
4. ფაკულტეტის საბჭოზე დეკანობის კანდიდატის არჩევნები ტარდება კანონმდებლობით, თსუ–ს წესდებითა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 16. დეკანის მოადგილეები

1. დეკანს ჰყავს 2 მოადგილე, საგანმანათლებლო-სამეცნიერო და საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში.
2. დეკანის მოადგილეების ძირითადი ამოცანებია:

ა) სასწავლო პროცესის და სამეცნიერო კვლევების ეფექტიანად წარმართვის უზრუნველყოფა;

ბ) ფაკულტეტის ფინანსების მართვის ოპტიმალური სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

გ) დეკანის დავალებათა შესრულება.

3. დეკანის მოადგილე საგანმანათლებლო-სამეცნიერო საკითხებში კურირებს (კოორდინირებას უწევს):

ა) აკადემიური პერსონალის დატვირთვების განაწილებას;

ბ) სასწავლო პროცესის ცხრილის შედგენას;

გ) ფაკულტეტის საბჭოზე აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის წარდგინების მომზადებას;

დ) სასწავლო პროგრამების კოორდინატორების (ხელმძღვანელების) მუშაობას;

ე) ფაკულტეტზე მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;

ვ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს და სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს.

4. დეკანის მოადგილე საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში კურირებს (კოორდინირებას უწევს):

ა) კანცელარიას, მატერიალური რესურსების მართვის სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

ბ) ფაკულტეტზე სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას.

გ) ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის პროექტის შემუშავებას და მონიტორინგს.

დ) აუცილებლობიდან გამომდინარე ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ცვლილებების ინიცირებას და დეკანისათვის წარდგენას;

5. დეკანის მოადგილეს საგანმამანათლებლო-სამეცნიერო სფეროში დეკანის წარდგინებით ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო დეკანის მოადგილეს საფინანსო–ეკონომიკურ სფეროში დეკანის წარდგინებით ნიშნავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

თავი VI
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

მუხლი 17. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზანია ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობისა და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება არსებული კანონმდებლობის, ფაკულტეტის დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად; ასევე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციური საქმიანობის განმსაზღვრელი აქტით, რომელსაც გამოსცემს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და ა.შ.) გამოყენების გზით და ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთიანი საუნივერსიტეტო სისტემის ნაწილს.
4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის სრული ან ასოცირებული პროფესორი.
5. საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის მიზნით, უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი.
6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებითა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობით, ნიშნავს ფაკულტეტის დეკანი.
7. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სემესტრში ერთხელ წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს მუშაობის შედეგებს.

მუხლი 18. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წარდგენის წესი

ა) ფაკულტეტის საბჭო დეკანს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არა უმეტეს სამ კანდიდატურას;

ბ) ფაკულტეტის საბჭოზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდადიტურებს ასახელებენ ფაკულტეტის საბჭოს წევრები.
გ) წარსადგენი კანდიდატურ(ებ)ის გამოსავლენად ინიშნება არჩევნები;
დ) არჩევნები შეიძლება ჩატარდეს ფარული კენჭისყრით.

თავი VII
სადისერტაციო საბჭო

მუხლი 19. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს კანონმდებლობით, თსუ–ს წესდებითა და ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად.

VIII თავი
საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამების განხორციელება

მუხლი 20. საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამები
1. ფაკულტეტზე ხორციელდება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე უწყვეტი განათლების პროგრამები თსუ აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულ დადგენილებებში ცვლილებები ავტომატურად აისახება ფაკულტეტის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირებაში.
ა) მაგისტრატურაში მიღების წესი და წინაპირობები განსაზღვრულია შესაბამისი კანონმდებლობისა და სამაგისტრო პროგრამების მოთხოვნათა შესაბამისად;
ბ) დოქტორანტურაში მიღების წესი და წინაპირობები განსაზღვრულია ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებისა და სადოქტორო პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 21. კათედრა
1. კათედრა წარმოადგენს პროგრამის ან მომიჯნავე, მონათესავე, ერთმანეთთან მჭიდრო საგანმანათლებლო-სამეცნიერო კავშირში მყოფი პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური, ტექნიკური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო რესურსების ერთიანობას.
2. კათედრის შექმნისა და გაუქმების შესახებ არგუმენტირებული ინიციატივა შეიძლება გამოთქვას ფაკულტეტის დეკანმა. კათედრის შექმნის ან გაუქმების ინიციატივის წარმოყენება წარმოადგენს ფაკულტეტის საბჭოს პრეროგატივას.

3. კათედრაში უნდა გაერთიანდეს მინიმუმ 4 წევრი.
4. კათედრას ხელმძღვანელობს სრული პროფესორი
5. იმ შემთხვევაში, თუ კათედრის შემადგენლობაში შედის 2 ან 2–ზე მეტი სრული პროფესორი, კათედრაზე უნდა ჩატარდეს კათედრის ხელმძღვანელის არჩევნები. გადაწყვეტილებას კათედრის წევრები იღებენ ხმათა უმრავლესობით ფარული კენჭისყრის საფუძველზე. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დეკანი. კათედრის ხელმძღვანელად შეიძლება არჩეულ იქნეს ფაკულტეტის სრული პროფესორი (ასოცირებული პროფესორი ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს კათედრაზე სრული პროფესორის არარსებობის შემთხვევაში).
6. კათედრის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს კათედრის ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის კოორდინაციას.
7. გადაწყვეტილება კათედრაზე მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კათედრის ხელმძღვანელის ხმა.
8. კათედრა საქმიანობას წარმართავს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.
9. კათედრა ამზადებს და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას ან/და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს წინადადებებს ფაკულტეტზე სასწავლო–სამეცნიერო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.
10. კათედრა ამზადებს და პროგრამის კოორდინატორს (ხელმძღვანელს) წარუდგენს წინადადებებს საგანმანათლებლო კურუკილუმთან დაკავშირებით.

IX თავი
დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 22. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები
1. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია: კანცელარია, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, მატერიალური რესურსების მართვის სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.
2. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი საუნივერსიტეტო სამსახურებისა და დეპარტამენტების დებულებებითა.

მუხლი 23. ფაკულტეტის კანცელარიის ძირითადი ფუნქციები.
1. ფაკულტეტის კანცელარიის ძირითადი ფუნქციებია:
ა) ფაკულტეტზე საქმისწარმოების სამუშაოების ორგანიზება, კოორდინაცია, კონტროლი და რეალიზაცია დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) ფაკულტეტზე შემოსული და ფაკულტეტიდან გაგზავნილი კორესპონდენციის რეგისტრაცია შესაბამის ელექტრონულ ბაზაში; დეკანის (დეკანის მოადგილის) ვიზირების შემდეგ, შემოსული კორესპონდენციის დანიშნულებისამებრ გადაცემა;
გ) ფაკულტეტზე დოკუმენტბრუნვის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა დადგენილი წესის შესაბამისად; თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ დოკუმენტებზე მუშაობის დადგენილი წესების შესრულების კონტროლი;
დ) დეკანის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების (ბრძანებები) რეგისტრაცია და ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულებისთვის ქსეროასლების მიწოდება;
ე) ფაკულტეტის საარქივო საქმისწარმოების (არქივისათვის მიკუთვნებული დოკუმენტების აღწერა, დამუშავება, დაცვა და სათანადო ვადის გასვლის შემდეგ თსუ არქივისთვის გადაცემა) ფუნქციონირების უზრუნველყოფა.
ვ) ფაკულტეტზე არსებული საჯარო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირისათვის მისი მოთხოვნისთანავე.
2. ფაკულტეტის კანცელარიაში ინახება ფაკულტეტის ბეჭედი და ბლანკი, რომლებიც გამოიყენება დადგენილი წესის მიხედვით.

მუხლი 24. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში შედის სასწავლო პროცესის მართვის ჯგუფი და სტუდენტთა მომსახურების ჯგუფი. ასევე თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში სამსახური კურირებს ტუტორატს და მონაწილეობს კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიის მუშაობაში.

მუხლი 25. სასწავლო პროცესის მართვის ჯგუფის ფუნქციები

სასწავლო პროცესის მართვის ჯგუფის ძირითადი ფუნქციებია:
ა) სასწავლო პროგრამების და სტუდენტთა კონტიგენტის შესაბამისად დატვირთვების მომზადება;
ბ) სასწავლო დატვირთვების კათედრებისთვის გადაცემა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სასწავლო ცხრილების ფორმირების დასრულება;
გ) აუდიტორიების განაწილება;
დ) სასწავლო დატვირთვების შესახებ ინფორმაციის გადაცემა შესაბამისი ფორმით თსუ–ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტისთვის;
ე) შუალედური, ძირთადი და დამატებითი გამოცდების დანიშვნის ორგანიზაცია საგამოცდო ცენტრთან შეთანხმებით;
ვ) ძირითადი და მოწვეული პედაგოგების დატვირთვების შესახებ ინფორმაციის გადაცემა პერსონალის მართვის დეპარტამენტისთვის;
ზ) შიდა და გარე მობილობის ორგანიზაციული საკითხების მოგვარება;
თ) სტუდენტებისთვის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ წარდგინების მომზადება და გადაცემა თსუ–ს შესაბამისი სამსახურისთვის;

ი) აკადემიური რეგისტრაციის მონიტორინგი;
კ) შემოსულ კორესპონდენციებზე მუშაობა მათი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 26. სტუდენტთა მომსახურების ჯგუფის ძირითადი ფუნქციები

სტუდენტთა მომსახურების ჯგუფის ძირითადი ფუნქციებია:
ა) სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევა;
ბ) შემოსულ კორესპონდენციებზე მუშაობა მათი კომპეტენციის ფარგლებში.
გ) ფაკულტეტზე ჩატარებული ძირითადი და დამატებითი გამოცდების შედეგების შეტანა თსუ–ს ელექტრონულ ბაზაში (sms.tsu.ge);
დ) დამატებით სემესტრში სტუდენტთა დასაფიქსირებლად წარდგინების მომზადება;
ე) დიპლომების დანართების მომზადება;
ვ) პირველკურსელთა აკადემიური რეგისტრაცია და ხელშეკრულებების გაფორმება;
ზ) ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ფაკულტეტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ცნობების მომზადება და გაცემის ორგანიზება;
თ) სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება;
ი) მობილობით გადმოსული სტუდენტების ადაპტაციისთვის ხელის შეწყობა;

მუხლი 27. ტუტორატი

1. ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სასწავლო–ორგანიზაციული პრობლემების გადასაჭრელად დახმარების გაწევის მიზნით იქმნება ტუტორთა ჯგუფი.
2. ტუტორები შეირჩევა დეკანის მიერ ფაკულტეტის მაგისტრატურის ან დოქტორანტურის სტუდენტებსა ან ფაკულტეტის თანამშრომლებს შორის.
3. საჭიროებისამებრ დეკანს შეუძლია ინდივიდუალურ–სამართლებრივი აქტით დაადგინოს ტუტორთა შერჩევის წესი.

მუხლი 28. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური.

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ძირითადი ამოცანებია:
ა) ინოვაციურ ცოდნაზე, ხარისხსა და შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების განხორციელების, სამეცნიერო–კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის ხელშეწყობა;
ბ) სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შედეგების ანალიზი, წლიური ანგარიშის მომზადება და უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში წარდგენა;
გ) ფაკულტეტის საერთაშორისო კავშირების გაფართოვება, ერთობლივი სასწავლო
და სამეცნიერო პროექტების განხორციელება ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებების ფარგლებში.
დ) ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული ზრდისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება;

ე) მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერთა მოწვევისა და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის სამეცნიერო სტაჟირების ორგანიზების ხელშეწყობა.
ვ) პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება;
ზ) ყოველი სემსეტრის ბოლოს შემდგომი სემესტრისათვის დაგეგმილი ღონისძიებების (კონფერენციები, სემინარები და ა.შ) გეგმის ფაკულტეტის საბჭოსათვის წარდგენა დასამტკიცებლად;
თ) ფაკულტეტზე სამეცნიერო მუშაობის კოორდინირება;
ი) დოქტორანტთა კოლოკვიუმებისა და სემინარების ორგანიზება;
კ) საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კოორდინირება და ინფორმირება;

მუხლი 29. მატერიალური რესურსების მართვის სამსახური

მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის ძირითადი ამოცანებია:
ა) ფაკულტეტის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსების ეფექტიანი მართვა;
ბ) სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროცესების საჭირო მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა;
გ) მატერიალურ–ტექნიკური და სასწავლო ბაზების სისტემატიური გაუმჯობესება;
დ) ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის პროექტის შექმნაში მონაწილეობა;
ე) ფაკულტეტის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსების
შენახვის, აღრიცხვისა და გამოყენების პროცესის სრულყოფის მიზნით უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობა.
ვ) ფაკულტეტის სასწავლო–მეთოდური, სამეცნიერო–კვლევითი და მატერიალურ–ტექნიკური ბაზის სრულყოფა ფაკულტეტის პრიორიტეტული ამოცანების გადასაჭრელად და არსებული და სამომავლო გეგმებისათვის მზადყოფნის მიზნით;
ზ) ფაკულტეტის ოპერატიულ მართვაში არსებული მატერიალურ–ტექნიკური ბაზის დაცვა;
თ) სასწავლო პროცესის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა.

მუხლი 30. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ძირითადი ამოცანებია:
ა) ფაკულტეტის საქმიანობის თაობაზე საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების ეფექტიანი სისტემის შექმნა;
ბ) ფაკულტეტზე არსებული სასწავლო პროგრამების, სამეცნიერო საქმიანობის, საერთაშორისო კავშირების თუ მსგავსი საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ბუკლეტების, ბროშურების, ,,ფლაერების“, პლაკატების და ,,ბანერების“ დამზადება და გავრცელება.

გ) უნივერსიტეტის ,,ღია კარის დღის“ ღონისძიებებში ფაკულტეტის მონაწილეობის ორგანიზება;
დ) ფაკულტეტის ხელმძღვანელობისა და აკადემიური პერსონალის საჯარო შეხვედრებისა და გამოსვლების, მათ შორის, პრესკონფერენციებისა და ბრიფინგების დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება;
ე) ფაკულტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის პრესაში გავრცელება, საზოგადოებაში ფაკულტეტის იმიჯზე ზრუნვა.
ვ) უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე ინფორმაციის განთავსება;
ზ) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის სამეცნიერო–კვლევითი პროექტების დაფინანსების წყაროების საძიებო სისტემის ფორმირება და შესაბამისი საკონსულტაციო მომსახურება სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურთან ერთად;
თ) სამეცნიერო კვლევების შედეგების პრეზენტაციისა და პოპულარიზაციის მიზნით, შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების საფუძველზე საქმიანი კონტაქტების დამყარება არასაუნივერსიტეტო ცენტრებთან, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან, სამთავრობო დაწესებულებებთან, ბიზნეს–სექტორთან;
ი) სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან ურთიერთობების კოორდინირება, სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის, სტაჟირების და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.
კ) ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის შექმნა;
ლ) ფაკულტეტის ,,ალუმნი–პოლიტიკის“ ფარგლებში კონკრეტული პროექტების შემუშავება და განხორციელება.
მ) საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან ურთიერთობის და უცხოელ პროფესორებთან თანამშრომლობის კოორდინირება.

თავი X
სტუდენტი

მუხლი 31. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და თსუ-ს წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესიული საგანმანათლებლო, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება თსუ-ს წესდებით.
3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება თსუ წესდების მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 32. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის შექმნისა და დაკომპლექტების წესი, ასევე უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, თსუ-ს წესდებითა და თსუ-ს სტუდენტური თითმმართველობის დებულებით.

თავი XI
ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 33. ფაკულტეტის დებულების მიღების, გაუქმების, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი
1. ფაკულტეტის სტრუქტურისა და დებულების პროექტს შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო და განსახილველად გადასცემს აკადემიურ საბჭოს.
2. ფაკულტეტის დებულება მიიღება აკადემიური საბჭოს მიერ და მტკიცდება წარმოამაგენლობითი საბჭოს მიერ.
3. ფაკულტეტის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით.

თავი XII
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 34. დებულების მიღება და ამოქმედება
1. დებულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის არსებული დებულება.
2. დებულება ამოქმედდეს თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.

დანართი

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები (კათედრები) და დამხმარე სამეცნიერო კვლევითი ერთეულები.

სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები (კათედრები):
1.ეკონომიკის პრინციპების
2.ეკონომიკური პოლიტიკის
3.მაკროეკონომიკის
4.მიკროეკონომიკის
5.ეკონომიკური სტატისტიკის
6.ეკონომეტრიკის
7. ფინანსებისა და საბანკო საქმის
8.ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის
9.საერთაშორისო ბიზნესის
10.მენეჯმენტისა და ადმინისტრირების
11. მარკეტინგის
12.ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების
13.ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის.

დამხმარე სამეცნიერო კვლევითი ერთეულები:
1. ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ– გერმანული ინსტიტუტი.
2. ეკონომიკის კვლევისა და სწავლების ქართულ–ბერძნული ცენტრი.
3. მიგრაციის კვლევის ცენტრი.
4. ბიზნეს–ეთიკის ცენტრი.
5. მარკეტინგული კვლევის ცენტრი.
6. მსოფლიო ეკონომიკის კვლევის ცენტრი.
7. ინოვაციური მენეჯმენტის ცენტრი.
8. სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი ,,იდეა“.

წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №2, დანართი 7.

დადგენილება №33/2013
25 თებერვალი, 2013

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №220/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე–8 მუხლის „ქ" და „ჩ" ქვეპუნქტების, მე–17 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც" და „ხ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას ,,ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული – ტურიზმის განვითარების ინსტიტუტი.".
2. დამტკიცდეს ,,ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის – ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის" დებულება (დანართი №1).
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
5. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის განვითარების ინსტიტუტი (შემდგომში - ,,ინსტიტუტი") წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი") დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს.
2. ინსტიტუტის ინგლისური სახელწოდება: Institute of Tourism Development (შემოკლებით - ITD).
3. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ამ დებულებით და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე.
4. ინსტიტუტს აქვს ტიტულიანი ბლანკი, ბეჭედი, ასევე საბანკო ქვეანგარიში.
5. ინსტიტუტი განთავსებულია უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში, 0186 თბილისი და ვაჟა-ფშაველას გამზირი N44-ში, 0179 თბილისი.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ამოცანები და საქმიანობა

1. ინსტიტუტის მიზნებია:
ა) იქცეს ტურიზმის სფეროში სწავლების, ცოდნის გაზიარებისა და თანამშრომლობის ცენტრად;
ბ) გახდეს შესაბამისი დარგის მკვლევარებსა (მეცნიერებსა) და ტურიზმის ინდუსტრიას შორის დამაკავშირებლად;
გ) გახდეს საქართველოს ტურიზმის გამოწვევებისა და მიღწევების ინფორმაციის წყაროდ;
2. ინსტიტუტის ამოცანებია:
ა) წარმართოს აკადემიური და გადასამზადებელი პროგრამებით სწავლება.
ბ) მეცნიერების, თანამშრომლებისა და სტუდენტების მონაწილეობით განახორციელოს როგორც აკადემიურ, ისე გამოყენებით ტურიზმთან დაკავშირებული კვლევები;
გ) შეასწავლოს ქართველ და უცხოელ მსურველებს ტურიზმის ინდუსტრია;

დ) დახმარება აღმოუჩინოს საჯარო და კერძო სექტორებს ტურიზმის პოლიტიკის ფორმირებაში, რაც ხელს შეუწყობს მის დაგეგმვისა და განვითარების სრულყოფას საქართველოში.
ე) მესამე პირთა დაკვეთით მოახდინოს ტურიზმის სფეროში სპეციალური კვლევების, კურსების, სემინარების, კონფერენციების, ფორუმებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება.
3. ინსტიტუტი მოწოდებულია მულტიდისციპლინური არსის მქონე ტურიზმის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სწავლების უზრუნველსაყოფად და ასევე ტურიზმთან დაკავშირებული კვლევების განსახორციელებლად საქართველოში.
4. ინსტიტუტის აკადემიური პროგრამები ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით ექვემდებარება უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ან იმ შესაბამისი ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს, რომლის აკადემიურ პროგრამასაც იგი ახორციელებს, ასევე, შესაბამისი ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოებს.
5. ინსტიტუტმა შესაძლებელია ადმინისტრირება გაუწიოს, ტურიზმის სფეროში როგორც ქართულენოვან, ასევე უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტს მართავს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს ინსტიტუტის ხელმძღვანელი, რომელიც ინიშნება რექტორის მიერ.
2. ინსტიტუტის ხელმძღვანელს ჰყავს მოადგილე, რომელსაც ინსტიტუტის ხელმძღვანელის წარდგინებით ნიშნავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. ინსტიტუტის ხელმძღვანელის მოადგილე ახორციელებს ინსტიტუტში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ადმინისტრირებას. ინსტიტუტის ხელმძღვანელის არყოფნისას ასრულებს მის მოვალეობას.
3. ინსტიტუტის შიდა სტრუქტურული ერთეულებია:
ა) ტურიზმის საერთაშორისო სკოლა;
ბ) ტურიზმის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;
გ) ტურიზმის ტრენინგ-ცენტრი.
დ) ინსტიტუტის ხელმძღვანელის აპარატი.
4. ინსტიტუტის თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს (გარდა ინსტიტუტის ხელმძღვანელის აპარატისა) ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ინიშნება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ ინსტიტუტის ხელმძღვანელის წარდგინებით.

მუხილი 4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტში მოქმედებს კოლეგიალური სათათბირო-საკონსულტაციო ორგანო - ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, რომელიც კომპლექტდება ინტიტუტის სტრუქტურული ერთეულების დირექტორებით, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალით, მოწვეული ექსპერტებით (აკადემიური ხარისხის მქონე), მათ შორის უცხოელი კოლეგებით.
2. სამეცნიერო საბჭო - განიხილავს სამეცნიერო-კვლევითი პროექტებს, არჩევს და წარუდგენს საგრანტო პროექტებს დონორებს, გეგმავს დონორ ორგანიზაციებთან შეხვედრებს, უზრუნველყოფს სტუდენტ-მკვლევარების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვას და სხვა.
3. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ინსტიტუტის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე გამოცემული უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. ინსტიტუტის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს ინსტიტუტს და განსაზღვრავს ინსტიტუტის მუშაობის კონცეპტუალურ საკითხებსა და ძირითად მიმართულებებს;
2. ინსტიტუტის ხელმძღვანელი:
ა) ინსტიტუტის ან/და ინსტიტუტის შიდა სტრუქტურული ერთეულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში განსაზღვრული წესით, უფლებამოსილია მოიწვიოს (ინსტიტუტის შიდა სტრუქტურული ერთეულის შემთხვევაში, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რაც ფორმდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით.
ბ) საჭიროებიდან გამომდინარე სვამს საკითხს დამატებითი შიდა სტრუქტურების შექმნის შესახებ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით იყენებს მოზიდულ სახსრებს ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის სრულყოფისა და თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისთვის.
გ) ადგენს ინსტიტუტის ერთიან საშტატო განრიგს ინტიტუტის სტრუქტურული ერთეულების დირექტორებთან შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
დ) განსაზღვრავს ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობებს, ასევე მათი თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების პირობებს (ინსტიტუტის შიდა სტრუქტურული ერთეულის პერსონალის შემთხვევაში, შესაბამისი სტრუქტურული

ერთეულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით), რაც კანონმდებლობით დადგენილი წესით აისახება ამ პერსონალის შრომით ხელშეკრულებებში.
ე) აკეთებს წარდგინებას ინსტიტუტის მიერ განხორციელებული შესაბამისი პროგრამების სწავლის საფასურთან დაკავშირებით, რაც შემდგომში განისაზღვრება უნივერსიტეტში დადგენილი წესით.

მუხლი 6. ტურიზმის საერთაშორისო სკოლა

1. ტურიზმის საერთაშორისო სკოლა წარმოადგენს ინსტიტუტის საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს.
2. ტურიზმის საერთაშორისო სკოლა ახორციელებს ,,ტურიზმი"–ს საბაკალავრო პროგრამის ადმინისტრირებას.
3. ტურიზმის საერთაშორისო სკოლის მიზანია საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხის ,,ტურიზმის" აკადემიური საბაკალავრო პროგრამის განხორციელება.
4. ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ამოცანაა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა და სასწავლო პროცესის წარმართვა.
5. ტურიზმის საერთაშორისო სკოლის სტრუქტურას შეადგენს:
ა) სკოლის დირექტორი, რომელიც ხელმძღვანელობს სკოლის საქმიანობას.
ბ) სკოლის ადმინისტრაციული და მატერიალური მართვის სამსახური.
გ) უნივერსიტეტის საშტატო განრიგით ტურიზმის საერთაშორისო სკოლისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: სკოლის დირექტორი, სკოლის დირექტორის თანაშემწე, სკოლის ადმინისტრაციული და მატერიალური მართვის სამსახურის უფროსი, ტურიზმის საერთაშორისო სკოლის მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი.
6. ტურიზმის საერთაშორისო სკოლა განთავსებულია ვაჟა-ფშაველას გამზირი N44-ში, 0179 თბილისი.

მუხლი 7. სამეცნიერო კვლევითი ცენტრი

1. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი წარმოადგენს ინსტიტუტის საგანმანათლებლო–სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს.
2. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიზანია თანამედროვე დონის კვლევების განახორციელება ტურიზმის სფეროში და მიღებული ცოდნის გავრცელება პუბლიკაციების, საჯარო სემინარების, ვორქშოპებისა და ფორუმების მეშვეობით.
3. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ამოცანაა ტურიზმის ინდუსტრიასთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ერთობლივად განახორციელოს როგორც აკადემიურ, ისე გამოყენებით ტურიზმთან დაკავშირებული კვლევები, მათ შორის: ტურიზმის ეკონომიკური ზეგავლენის, ტურისტული დანიშნულების

ადგილების ბრენდინგისა და მარკეტინგის, ტურიზმის ოპერირებების, კლიენტთა მომსახურებისა და მომხმარებელთა ტენდენციების დადგენა–პროგნოზირების კუთხით და სხვა.
4. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ახორციელებს თანამედროვე დონის სამეცნიერო კვლევებს ტურიზმის სფეროში და ავრცელებს მიღებულ ცოდნას პუბლიკაციების, საჯარო სემინარების, ვორქშოპებისა და ფორუმების მეშვეობით.
5. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს ცენტრის დირექტორი.
6. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით სამეცნიერო კვლევითი ცენტრისათვის განსაზღვრული თანამდებობაა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორი.
7. სამეცნიერო კვლევითი ცენტრი განთავსებულია უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში, 0186 თბილისი.

მუხლი 8. ტრენინგ-ცენტრი

1. ტრენინგ-ცენტრი წარმოადგენს ინსტიტუტის სტრუქტურულ სასწავლო–საგანმანათლებლო ერთეულს.
2. ცენტრის მიზანია თანამედროვე მოთხოვნადი გადასამზადებელი პროგრამებით მოკლევადიანი სწავლების ორგანიზება და უნივერსიტეტში დადგენილი წესით განხორციელება.
3. ცენტრის ამოცანაა ტურიზმის ეროვნული ინდუსტრიისათვის აუცილებელი მაღალკვალიფიციური და სათანადო უნარ-ჩვევების მქონე კადრების გადამზადება.
4. ტრენინგ-ცენტრი ანხორციელებს ტურიზმის სფეროში მსურველთა გადამზადებას პროფესიულ, ტრენინგ და სასერტიფიკატო პროგრამებზე.
5. ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს ცენტრის დირექტორი.
6. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით ტრენინგ-ცენტრისათვის განსაზღვრული თანამდებობაა ტრენინგ-ცენტრის დირექტორი.
7. ტრენინგ-ცენტრი განთავსებულია უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში, 0186 თბილისი.

მუხლი 9. ინსტიტუტის ხელმძღვანელის აპარატი

1. ინსტიტუტის ხელმძღვანელის აპარატი უზრუნველყოფს ინსტიტუტის ორგანიზაციულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას.
2. ინსტიტუტის აპარატს ხელმძღვანელობს უშუალოდ ინსტიტუტის ხელმძღვანელი.
3. ინსტიტუტის ხელმძღვანელის აპარატის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობებია: ინსტიტუტის ხელმძღვანელის თანაშემწე, IT ადმინისტრატორი, მდივან–რეფერენტი და კონსულტანტი სამართლებრივ საკითხებში.

მუხლი 10. ინსტიტუტის დაფინანსება

ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია:
ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი დაფინანსება;
ბ) ინსტიტუტის მიერ მოპოვებული საპროექტო, საგრანტო, საკონკურსო და სხვა დამატებითი დაფინანსება;
გ) სახელმკრულებო საფუძველზე შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული მიზნობრივი სახსრები;
დ) მიზნობრივი შემოწირულობები;
ე) კანონმდებლობით აუკრძალავი სხვა დაფინანსება.

მუხლი 11. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. ინსტიტუტის გარდაქმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ინსტიტუტის გარდაქმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №2, დანართი 8.

დადგენილება №49/2013
18 მარტი, 2013

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №220/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე–8 მუხლის ,,ქ" და ,,ჩ" ქვეპუნქტების, მე–17 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ც" და ,,ხ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას ,,ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული – პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრი".

2. დამტკიცდეს ,,ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის – პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის" დებულება (დანართი №1).

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების უზრონველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

5. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

<u>დანართი №1</u>

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის დებულება

მუხლი1. ზოგადი დებულებები

1. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს პორტუგალიური ენისა და კულტურის სფეროში ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას.
2. ცენტრს შესაძლებელია გააჩნდეს საბანკო ქვეანგარიში, ბლანკი უნივერსიტეტის ლოგოთი, რომლის გამოყენება ხდება ცენტრის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და კომპეტენციები

1. ცენტრის მიზნებია:

ა) უნივერსიტეტში პორტუგალიური ენისა და კულტურის პოპულარიზაცია;

ბ) პორტუგალიური ენისა და კულტურის შესწავლის მიზნით უნივერსიტეტში სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროექტის განხორციელება;

გ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მასწავლებლების, მკვლევარებისა და სტუდენტებისათვის სამეცნიერო და პედაგოგიური მიმართულებით ტრეინინგების უზრუნველყოფა;

გ) პორტუგალიური ენისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით ღონისძიებებისა და სხვა აქტივობების ორგანიზება;

დ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მასწავლებლების, მეცნიერებისა და სტუდენტებისათვის პორტუგალიაში სტაჟირების, კამოეშის ინსტიტუტის მიერ

მათთვის გამოყოფილი სტიპენდიების მიღებისა და სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობის ხელშეწყობა.

2. ცენტრის კომპეტენციები:
ა) განავითაროს პორტუგალიური ენისა და კულტურის სწავლება და სწავლების სატრატეგიების დანერგვა;
ბ) შეიმუშაოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს პროგრამებს, რომლის საშუალებითაც პორტუგალიური ენის მასწავლებლები და სტუდენტები მიიღებენ ცოდნასა და გამოცდილებას.
ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ისეთი პირობების შექმნას, რომელიც სტუდენტს დაეხმარება სწავლაში.
ვ) ხელი შეუწყოს თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობას პორტუგალიური ენის შესწავლის მიმართულებით.

მუხლი 3. ცენტრის ხელმძღვანელობა და სტრუქტურა

1. ცენტრის მუშაობას კოორდინირებას უწევს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელიც ინიშნება უნივერსიტეტის რექტორის მიერ, პორტუგალიური მხარის წარდგინებით.
2. ცენტრის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს ცენტრის საორგანიზაციო და სამეცნიერო საქმიანობას, ცენტრის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო–კვლევით პროექტებს/პროგრამებს, ხელს უწყობს სამეცნიერო კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და პორტუგალიის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა სახის ორგანიზაციებთან, პასუხისმგებელია ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობისა და გაწეული ხარჯების თაობაზე ანგარიშის რეგულარულად მომზადებასა და წარდგენაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის.
3. ცენტრის ყოველდღიურ, მიმდინარე საქმიანობას კურირებს ცენტრის ადმინისტრატორი, რომელსაც ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.
4. ცენტრის ხელმძღვანელს ჰყავს ასისტენტი. ასისტენტის კანდიდატურას იწონებს ცენტრის ხელმძღვანელი, რის შემდგომაც ცენტრის ხელმძღვანელის ასისტენტთან შრომით ხელშეკრულებას დებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

5. ცენტრის სხვა შესაძლო პერსონალი სამსახურში მოიწვევა შრომით სახელშეკრულებო საფუძვლებზე, ცენტრის დირექტორის წარდგინებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ.
6. ცენტრის ხელმძღვანელის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს რექტორის თანხმობით ასრულებს ადმინისტრატორი.
6. ცენტრის მიერ განხორციელებულ პროექტებში/პროგრამებში შეიძლება მონაწილეობდეს: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი, სტუდენტი, ასევე, კონკრეტული პროექტის განსახორციელებლად მოწვეული სპეციალისტი.

მუხლი 4. ინსტიტუტის ქონება და დაფინანსება

1. თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.
2. ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) უნივერსიტეტის მიერ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტის საფუძველზე განსაზღვრული დაფინანსება;

ბ) კამოეშის ინსტიტუტის მიერ გამოყოფილი სახსრები;

გ) სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან მიღებული შემოსავლები;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსავლები.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დაგენილი წესით.

წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №2, დანართი 9.

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1.ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – ,,უნივერსიტეტი“) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი (შემდგომში - ,,დეპარტამენტი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.

2. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

3. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. დეპარტამენტის ძირითადი საქმიანობის სფეროა უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ეფექტური სისტემის შექმნა, საზოგადოებასთან სხვადასხვა სახის აქტიური ურთიერთობა, მათ შორის თანამშრომლობა, ასევე უნივერსიტეტისა და მასში მიმდინარე მოვლენების საზოგადოების წინაშე ობიექტურად წარმოჩენა.

2. დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში პოპულარიზაცია;

ბ) უზრუნველყოს სასწავლო-სამეცნიერო პროცესების, დაგეგმილი ან განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების საჯაროობა;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებების, ბრძანებებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირთათვის.

3. დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) შიდასაუნივერსიტეტო კომუნიკაციების უზრუნველყოფა;

ბ) თავისი კომპეტენციისა და უფლებამოსილებების ფარგლებში სახელისუფლებო სტრუქტურებთან, სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებთან, არასამთავრობო და

სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ერთობლივი პროექტების განხორციელება;

გ) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მათი საქმიანობის, ასევე აკადემიური პერსონალის პოპულარიზაცია;

დ) საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლების რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრის დაგეგმვა - განხორციელება;

ე) საჭიროებისამებრ პრესკონფერენციების, საგანგებო ბრიფინგების, ინტერვიუების, ასევე სემინარებისა და ტრეინინგების ორგანიზება;

ვ) განხორციელებული პროექტების შეფასება და შედეგების მიხედვით მომდევნო ღონისძიებების დაგეგმვის გაუმჯობესება;

ზ) შემოსული პროექტების განხილვა და მათი განხორციელების ან განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მართვა, ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება.

ი) ხელმძღვანელის დავალებითა ან/და შეთანხმებით უნივერსიტეტის სახელით ოფიციალური მიმართვებისა და განცხადებების გამოქვეყნება;

ლ) უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურების მიერ უნივერსიტეტის ლოგოს გამოყენებაზე, საიმიჯო ბეჭდვითი მასალის და სხვა ატრიბუტიკის დამზადების პროცესის კოორდინაცია.

მ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებსა და წინამდებარე დებულებას.

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი.
2. დეპარტამენტის უფროსს რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
3. დეპარტამენტს უფროსს ჰყავს უფროსის მოადგილე.
4. დეპარტამენტის უფროსის მოადგილესა და თანამშრომლებს თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით.
3. დეპარტამენტის უფროსის დროებით არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), აგრეთვე დეპარტამენტის უფროსის დავალების შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს დეპარტამენტის უფროსის

მოადგილე, ან სხვა თანამშრომელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წერილობითი ნებართვით.

3. დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;
ბ) განსაზღვრავს დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;
ბ) ახდენს დეპარტამენტის ფუნქციების განხორციელებისათვის ძირითადი სამუშაობის დაგეგმვას;
გ) ანაწილებს ფუნქციებს დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
დ) ზედამხედველობს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
ე) ხელს აწერს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;
ვ) წარადგენს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;
ზ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით დეპარტამენტისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;
თ) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს დეპარტამენტის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, დეპარტამენტის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
ი) პერიოდულად ისმენს დეპარტამენტის თანამშრომლების ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;
კ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

ა) ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დაგეგმვა -კოორდინაციასა და ორგანიზაციაში;
ბ)ახორციელებს შიდა საუნივერსიტეტო კომუნიკაციას;
გ) კოორდინაციას უწევს დეპარტამენტის დოკუმენტაციის წარმოებას;

დ) ახორციელებს საუნივერსიტეტო ღონისძიებების დაგეგმვას;

5. დეპარტამენტისათვის უნივერსიტეტის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობებია: დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, მთავარი სპეციალისტი და უფროსი სპეციალისტი.

მუხლი 4. დეპარტამენტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

დეპარტამენტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.